

ოკრანო სპ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

832
1954

რვაენი

ფრთვა

“ NOTRE DRAPEAU ”

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 18

პარტიო

ოქტომბერი

Paris.

1954



1882 — 1954

მ ა მ მ ბ ე რ ი, 1954 წ.

ალარ არის ევგენი გეგეჭკორი. კიდევ დავკარგეთ ჩვენი ქვეყნის ერთი დიდი პოლიტიკური მოღვაწე. კვლავ გლოვავა და მწუხარება, უკვე დაგვაჩნდა განშორება მისი.

ოთხი თვე გავიდა ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების შემდეგ; გაივლის წლებიც, საქართველოს ისტორიის ახალი ფურცლები გადაიშლება და ევგენი გეგეჭკორის სახელი წარუშლელი დარჩება ქართველი ერის ისტორიაში.

მას მოიგონებს ქართველი ერის მემკვიდრე, როგორც დიდ ქართველს, ჩვენი ქვეყნის დიდ სახელმწიფო მოღვაწეს. აქედან, სახელმწიფო მოღვაწეობიდან, დაიწყო ევ. გეგეჭკორმა თავისი საქმიანობა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის იგი საზოგადო, სახელმწიფო საქმეს ემსახურებოდა.

მისი სახელმწიფო მოღვაწეობის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება იყო ის, რაც ყველა სახელმწიფო მოღვაწისთვის უმთავრესი სამკაულია: გამბედაობა.

ეს გამბედაობა გამოიჩინა ევგენი გეგეჭკორმა მაშინ, როცა სულ ახალგაზრდამ, ხალხის ნდობით აღჭურვილმა, მან გაბედა რუსეთის სახელმწიფო დუმაში წასვლა და დეპუტატის იმ ადგილზე დაჯდომა, საიდანაც ცოტა ხნის წინად რუსის რეაქციონურმა მთავრობამ ხალხის ინტერესების დამცველები გარეკა და კატორღაში გაგზავნა (მეორე დუმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია). ევ. გეგეჭკორის გამოსვლები სახელმწიფო დუმაში მუდამ გაბედული იყო და მრისხანებით აღსავსე იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რუსეთში იმ დროს რომ არსებობდა. განსვენებული კარგი ორატორი იყო; ამიტომ მის სიტყვებს სახელმწიფო დუმაში თუ იმის გარედ მტერიც ისე, როგორც მოყვარე, ყოველთვის ყურადღებით უსმენდა ხალხმე. ერთი საუკეთესო დეპუტატის სახელი დასტოვა მან რუსეთის მესამე სახელმწიფო დუმაში.

დიდი გამბედაობა გამოიჩინა ევ. გეგეჭკორმა მაშინაც, როცა 1917 წლის დიდი რევოლუციის ხანაში, იგი მოწოდებული იყო უდიდეს საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობებზე მთელი ამიერ-კავკასიის მასშტაბით (მთავრობის თავმჯდომარე, სამხედრო მინისტრი). ეს ის დრო იყო, როცა რუსის გაბოლშევიკებული ჯარები კიდევ კავკასიაში იმყოფებოდნენ და ჩვენს ქვეყანას დარბევას უპირებდნენ. უდიდესი სამსახური გაუწია ამ დროს ევ. გეგეჭკორმა, როგორც საქართველოს, ისე მთელ ამიერ-კავკასიას თავის გამბედაობით, ტაქტით, გამჭრიახობით.

შემდეგ, განსვენებული საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია (და ხშირად მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეც) და ყველასთვის ცნობილია მისი მუშაობა ამ თანამდებობაზე.

თუ ჩვენი ქვეყნის თავისუფლათ და დამოუკიდებლათ არსებობა უფრო ხანმოკლე იყო, ვინემ მტრის მიერ იმის ოკუპაციის და შევიწროების დღეები არის,—აქაც, უცხოეთში, საჭირო იყო საქართველოსთვის მუშაობა. ევ. გეგეჭკორმა ეს შესძლო; იგი ახერხებდა ემიგრაციის მეტად მძიმე პირობებში ევროპის სახელმწიფო მოღვაწეებთან კავშირის გაბმას, მათთან დაახლოვებას, მათთვის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის და ჩვენი ერის მისწრაფებათა გაცნობას.

ევგენი გეგეჭკორი დაჯილდოებული იყო დიპლომატიის იმ თვისებებით, რომელნიც პოლიტიკურ მოღვაწის ღირსებას შეადგენენ და მას ამშვენებენ, თუ მის მიერ ბუნებრივად არიან შეთვისებული. სინაზე, ზრდილობა და თავაზიანობა სხვებთან დამოკიდებულებაში, მტრის მტრულათ შეხვედრა და მოყვარის მოყვრულათ მიღება განსვენებულის თანდაყოლილი თვისებები იყო.

როცა ამ უკანასკნელ დროს საკითხი დადგა რუსის და არა რუსის ერების ემიგრაციების გაერთიანების ბოლშევიკურ რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველათ, ევ. გეგეჭკორი ასეთი გაერთიანების მომხრეთ გამოვიდა. და ყოველგან, არა ქართველ წრეებშიც. მას დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ და მის აზრებს დიდ ანგარიშს უწევდნენ. მას იცნობდნენ, როგორც რუსის, ისე არა-რუსის ემიგრაციის წარმომადგენელი მისი დიდი ხნის მოღვაწეობიდან, ენდობოდნენ მის პოლიტიკურ გამოცდილებას და უნარს, მის ნიჭსა და გამჭრიახობას; ამიტომ იმის აქტიურათ ჩარევას ამ საქმეში ფასს სდებდნენ მისი მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც. ვერავინ იტყვის, რომ ამ მუშაობაში—მეტად რთულში და მრავალ დაბრკოლებებით აღსავსეში—განსვენებულს მაღლა არ დაეჭიროს ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოებული უფლებები და ღირსება ქართველი ერის; და ვერც იმას იტყვიან, რომ იგი ღირსეულათ არ მოპოვობოდა სხვა ერების სწორათ გაგებულ ინტერესებს ან ჩვენი თავისუფლების—დასახოვადოთ ეროვნულ თავისუფლების—მოწინააღმდეგეთა ოინები არ ემხილოს და სააშკარაოზე არ გამოეთანხმოს. ის პირდაპირი, ნიდაბ ახდილი, მაგრამ ტაქტიკით აღსავსე პოლიტიკური მოღვაწე იყო. ამიტომ შესძლო მან არა რუსის ერების და რუსის ემიგრაციის წარმომადგენელთა ერთი ნაწილის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა პოზიციის ირგვლივ შემოკრება. მას არ დასცალდა ამ საქმის დაბოლოება...

30208

განსვენებული ევ. გეგუქორი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთი ლიდერთაგანი იყო, წარმომადგენელი იმ თაობის, ამ პარტიის დამაარსებელთა წრეს, მესამე დასს, რომ მიყვებოდა, როგორც მისი მიმდევნი თაობა. ევ. გეგუქორი თუმცა სახელმწიფო თანამდებობებზე უფრო იყო ცნობილი, ვინემ პარტიულზე. მაგრამ პარტია მას დიდათ აფასებდა და თავის მხრივ განსვენებული თავის პარტიის ხაზსა და მიმართულებას, ამ პარტიის თავდადებულ მუშაობას, ძლიერ აფასებდა და იმის დადგენილებათა და პოლიტიკურ ხაზის ცხოვრებაში, სახელმწიფო ასპარეზზე, ერთგული და ნიჭიერი გამტარებელი იყო.

ევგენი გეგუქორის, ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსის, დაკარგვა ჩვენთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია: როგორც ეროვნულათ, ისე პარტიულათ. მისი ადგილი ჩვენში დიდხანს დარჩება ცარიელი. მის მოღვაწეობას არა ჩვენ, არამედ ისტორია განსჯის და დააფასებს.

მიდიან თანდათან საქართველოს სახელმწიფო და საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის სახელოვანი მოღვაწენი. აქ, უცხოეთში, საუკუნოთ განგვშორდენ (ქრონოლოგიურათ) კარლო ჩხეიძე. ნოე რამიშვილი. ნოე ჟორდანი, ევგენი გეგუქორი. მხოლოდ ჩვენი პარტიის უფრო ცნობილნი და სახელმწიფო თანამდებობის უმაღლეს საფეხურზე მდგომნი რომ დავასახელოთ.

ჩვენ ჩვეულებათ გავიხადეთ მათ საფლავზე მისვლა და დაპირება, რომ მათ მიერ დაწყებულ საქმეს არ ვუღალატებთ. ერთხელ კიდევ განვიმეოროთ ეს დაპირება ევ. გეგუქორის ახლად გაპრილ საფლავის წინაშე და აღუთქვათ მას ეროვნულ საქმისთვის თავდადებულ მუშაკთა რიგების გაძლიერება; ჩვენ მოვუწოდებთ, ერთხელ კიდევ ამ შემთხვევის გამო, ჩვენს ახალგაზდობას, რათა მათ მეტი ენერჯია გამოიჩინონ და წინა თაობის მოღვაწეებს გვერდში ამოუდგენ, მათი ცოდნით და გამოცდილებით ისარგებლონ ჩვენი ქვეყნის განმათავისუფლებელ მოძრაობის გასამაგრებლათ და გასაგრძელებლათ; ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენი პარტიის წევრებს, რათა გაამაგრონ თავისი რიგები პარტიის შიგნით და გულწრფელი კავშირი გააბან ყველა მათთან, სხვა პარტიის და დაჯგუფებათა ხალხთან, ვინც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის იბრძვის და იბრძოლებს.

ამას გვავალებს ჩვენი აზლანდელი მდგომარეობა; ამით პატივს ვცემთ ჩვენ ჩვენი დიდი მოღვაწეების, და მათ შორის ევგენი გეგუქორის, ძვირფას და საუკუნო ხსოვნას.

ჩ ვ ე ნ ი ი ვ ვ ე ნ ი.

კარგი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ ჩვენი ევგენი სამუდამოდ გაგვშორდა და ამით გამოწვეულ ჭრილობას დღესაც მეტად მწვავედ ვგრძნობთ. უმისობას ყველანი განვიცდიით. ის ყველას გვაკლია. ჩვენ მოწმენი ვიყავით, ვნახეთ ის დიდი დარდი და მწუხარება, რომლითაც შეპყრობილი იყვნენ ამ წუთისოფლიდან მისი განშორების გამო არა მხოლოდ მისი ნათესავები და ახლო მეგობრები, არამედ მთელი ქართული ემიგრაცია განურჩევლად დაჯგუფებისა და პარტიებისა, ჩვენი მეზობლები—კავკასიელები, საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ სხვა ერთა, თუ ევროპიელების წარმომადგენელი. ყველანი გლოვით იყვნენ მოცული.

ევგენი გეგეუკორი მის ნიჟსა და ჭკუასთან ერთად კეთილშობილური გრძნობებითაც მდიდრად იყო ბუნების მიერ დაჯილდოებული. და ეს მისი გრძნობები ყოველთვის იყო თბილი, ნაზი, მეტად ადამიანური და ჰუმანიური. სხვის გასაჭირს ის ადვილად გრძნობდა, მას უთანაგრძნობდა, როცა შეეძლო ყოველთვის ეხმარებოდა და ამხნევებდა.

ევგენის კარგი გული ჰქონდა და ამ კარგი ადამიანის გულის ცემის შეჩერებამ გამოიწვია ამდენი დარდი და მწუხარება.

ის დიდად მიმზიდველი ადამიანი იყო.

მისი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეობაში და მისი დიდი პოპულარობის შექმნაში შინ, თუ გარედ, მის პიროვნულ თვისებებსაც უთუოდ დიდი როლი აქვს ნათამაში.

ევგენი ხშირად ხუმრობით ამბობდა: ჩემი მეგობრები მე «პარადის» კაცთ მთვლიანო. და ამ მის ხუმრობაში სრული სიმართლე იყო ჩაქსოვილი. ქართულ სოციალდემოკრატიულ პარტიას ევგენი გეგეუკორი მართლაც «საპარადო» კაცთ ყავდა მიჩნეული. როცა საჭიროება მოითხოვდა, უცხოელების წინაშე ვინმეს საქართველოს საკითხი, ქართველების ინტერესები დაეცვა და გაერკვია, ასეთ შემთხვევებში მთავრობა, თუ პარტია, თითქმის ყოველთვის, ევგენის მიმართავდა და ქართველობის გამოსავლინებლად და მინდობილ საქმის შესაფერისად გასაკეთებლად გამოსაჩენ, საჭირო პოსტებზე წარმომადგენლად მას გზავნიდა. საამისოდ მას ყველა თვისებები ჰქონდა: მომზადება, მჭერმეტყველობა, სიდინჯე, ღირსეულად თავის დაქერა. დიპლომატიური ტაქტი, გაბედულობა, პიროვნული მიმზიდველობა და სხვა.

პირველად ქართულ სოციალდემოკრატიამ ევგენი გეგეუკორის არჩევანი 1907 წელს მოახდინა. რუსეთის იმპერიაში

იმ დროს დიდი რეაქცია სუფევდა. მიუხედავად ამისა ქართულ სოციალდემოკრატიამ მაინც შესძლო კარლო ჩხეიძესთან ერთად ევგენი გეგეჭკორის გაყვანა მესამე დღეში. იმ დროს ის ჯერ კიდევ გამოუცდელი 25 წლის ახალგაზდა იყო. მაგრამ მალე, სულ მალე ამ ახალგაზდამ მისი პარტიის იმედები გაამართლა. მან დიდი უნარი და ნიჭი გამოიჩინა და კარლო ჩხეიძესთან ერთად მთელი რუსეთის იმპერიის დემოკრატიული ძალების აზრის გამომხატველი და მათი მესაიდუმლე გახდა.

ფინლანდიელ ერისადმი გამოქომაგობით და მისი უფლებების ნიჭიერად და მკერმეტყველურად დაცვით ევგენი გეგეჭკორმა დიდად გაითქვა სახელი. ჩაგრულთა და მშრომელთა მასები დუმის სოციალდემოკრატიული ფრაქციის გარშემო ირახმებოდა და ეს ფრაქცია კარლოს და ევგენის მეთაურობით აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მდგარ ბრძოლას აწარმოებდა.

მეფის რეჟიმის დაცემის შემდეგ, 1917 წელს, ევგენი გეგეჭკორი საქართველოში ყველა რევოლუციონური ორგანიზაციების წევრია და მათი ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელთაგანია.

როცა ბოლშევიკებმა ოქტომბრის გადატრიალება მოახდინეს და რუსეთში საყოველთაო ანარქია დაიწყო, ამიერკავკასია რუსეთს მოსწყდა და დაშორდა. ახლად შექმნილ ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარეთ ევგენი გეგეჭკორი ერთხმად იქნა არჩეული აზერბაიჯანელების, სომხების და ქართველების წარმომადგენელთა მიერ. ის ინტიმიურ მეგობრულ განწყობილებაში იმყოფებოდა მის კოლეგებთან და მათთან სრული თანხმობით მუშაობას აწარმოებდა.

ევგენი გეგეჭკორის, როგორც სამხედრო მინისტრის, ხელმძღვანელობით და ინსტრუქციებით ჩატარდა კავკასიის ფრონტიდან გამოქცეულ ნახევარ მილიონიან გაბოლშევიკებულ და გალოთებულ რუსის ჯარების უმტკივნელო ევაკუაცია შიდა რუსეთში. ამავე დროს ამიერ-კავკასიის კომისარი ატი ცდილობდა შინაურ მშვიდობიანობის დამყარებას და შესაფერისი რეფორმების ცხოვრებაში გატარებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ევგენი გეგეჭკორი მალე გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი და ამ თანამდებობას ის ასრულებდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

როცა გერმანელები დამარცხდნენ პირველ დიდ ომში, ისინი საქართველოდან გავიდნენ და იქ მოკავშირეთა გამარჯვებული ჯარები მოვიდნენ. ზოგი უცხოელი სამხედრო პირები მაშინ დიდი სნობიზმით იყვნენ შეპყრობილი და ადგილობრივ ხელისუფლებას ცოტა ანგარიშს უწევდნენ, თითქოს კოლონიალურ ქვეყანაში შემოსული იყვნენ. მაგრამ საქმარისი შეიქმნა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის—ნოე ჟო-

რდანიას და საგარეო საქმეთა მინისტრის—ევგენი გეგეჭკორის გაბედული და ღირსებით სავსე თავის დაპყრა, რომ მალე ურთიერთ შორის ნორმალური დამოკიდებულება დამყარებულიყო. და ეს იმ დროს დიდი საქმე იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის 3 წლის განმავლობაში ევ. გეგეჭკორმა დიდი შრომა გასწია ჩვენ მუხობლებთან ყველა სადაო საკითხების მოსაგვარებლად, მათთან კარგი განწყობილების დასამყარებლად და კავკასიის ერთა შორის მეგობრობის განსამტკიცებლად. მაგრამ, მთავარი საზრუნავი საგანი მისი მოღვაწეობისა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრისა, იყო საქართველოს იურიდიული ცნობა ანტანტის, თუ სხვა სახელმწიფოებისაგან.

1919 წლის დასაწყისში საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ გამოგზავნა ვერსალის კონფერენციაზე სპეციალური დელეგაცია კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით. ევგენი გეგეჭკორს მუდმივი კავშირი ჰქონდა ამ დელეგაციასთან და შესაფერის ინსტრუქციებს აწვდიდა მას მთავრობის სახელით. დაბოლოს, 1920 წლის შემოდგომაზე, ევგენი თვითონ წამოვიდა ვეროპაში ამ დელეგაციის მიერ გაწეულ დიდი მუშაობის წარმატებით დასაგვირგვინებლად. ამ მგზავრობისას მან ინახულა იტალიის მთავრობის თავმჯდომარე ჯიოლიტი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიანი და საფრანგეთის პრეზიდენტი მილიერანი, ინგლისში კი ლოიდ ჯორჯი. ყველა ამთ გააცნო საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა და მოითხოვდა ყველასაგან საქართველოს იურიდიულ ცნობას. უცხოეთის პრესა, რომლის წარმომადგენლებს ევგენი იმ დროს ხშირად ხვდებოდა, ერთსულოვანად ახასიათებდა მას, როგორც დასრულებულ ტიპს და გამოცდილ დიპლომატს.

1921 წლის 27 იანვარს, როცა ევგენი ჯერ კიდევ პარიზში იმყოფებოდა, მან საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ—ბრიანისაგან, «ალიები»-ს (მოკავშირეთა) უმაღლესი საბჭოს დავალებით, მიიღო წერილი—ნოტა, რომლითაც მას ატყობინებდნენ საქართველოს *de jure*-თ ცნობას.

პირველი მახარობელი ამ ცნობისა საქართველოს მთავრობის და ქართველი ერის წინაშე ევგენი გეგეჭკორი იყო.

მაგრამ იურიდიულად ნაცნობმა და დამოუკიდებელმა საქართველომ დიდხანს ვეღარ იცხოვრა. მას რუსის ჯარები შემოესია და მალე ის ძალით დაპყრობილ იქნა.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ დამფუძნებელი კრების დადგენილებით საქართველოს მთავრობა საზღვარ-კარედ იგზავნება ბოლშევიკების ვერაგულ მოქმედების სამხილველად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის სამუშაოდ. და მთელი მისი მოღვაწეობა ამ 33 წლის განმავლობაში საზღვარგარედ ევგენიმ პირნათლად ამ დავალებას მონადომა.

ის დადიოდა სხვადასხვა სახელმწიფოების კონფერენციებზე, ერთა ლიგის და ლიგის ასოციაციის კრებებზე, მშვიდობიანობის, თუ სოციალისტების საერთაშორისო კონგრესებზე. მან ჩამოიარა ბალტიის და სკანდინავიის ქვეყნები, იყო ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებშიდაც, აგრეთვე იტალიაში, ინგლისში, ბელგიაში და შვეიცარიაში. ყოველგან ევგენი საქართველოს უფლებებს იცავდა, ქართველი ერის თავისუფლების და დამოუკიდებლობის აღდგენას მოითხოვდა.

ევგენი ბოლშევიკების შეურიგებელ მტრათ ითვლებოდა და მათ წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა. ის დიდი ხნიდან, ჯერ კიდევ სახელმწიფო დუმის მისი მოღვაწეობიდან, მათ კარგად იცნობდა, მათ ტერორისტულ პოლიტიკაში, მათ ამორალურ ყოველგვარ საქმიანობაში და ფსიქოლოგიაში ჩინებულად ერკვეოდა.

ევგენი გეგეჟკარს, როგორც ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს, დიდი დამსახურება მიუძღვის იმაში, რომ მან ევროპელებს, რომელნიც ხშირად ბოლშევიკების მიმართ დიდი ილლუზიებით იყვნენ შეპყრობილი. გადაუშალა კომუნისტების მახინჯი ბუნების ნამდვილი სურათი, ფარდა ახადა მათ რეაქციონერობას და იმპერიალისტობას და ისინი მათი ნამდვილი სახით სააშკარაოზე გამოიყვანა.

და როცა ამ უკანასკნელ წლებში ამერიკელებმა აიღეს თავის თავზე ინიციატივა და ბოლშევიკების წინააღმდეგ საპროპაგანდოდ და საბრძოლველად საბჭოთა კავშირის ყველა ერების ემიგრაციას მიმართეს ერთად მუშაობის ასაწყობად, ბუნებრივი იყო, რომ მთელი ამ წამოწყების და საქმიანობის ცენტრში მოხვედრილიყო ევგენი გეგეჟკარი მისი უნარით, დიპლომატიური ტაქტით, დიდი წარსულით და მთელი მისი პოლიტიკური ავტორიტეტით. ის, როგორც კავკასიელების, ისე საბჭოთა კავშირის სხვა ჩაგრულ ერთა წარმომადგენლების მიერ ერთხმად და უდაოდ იქნა მიჩნეული «პორტპაროლთ» ამერიკელების წინაშე და ეს უკანასკნელნიც მას შესაფერის ანგარიშს უწევდნენ.

ევგენი გეგეჟკარის სიკვდილი დიდი დანაკლისია ყველასათვის, განსაკუთრებით კი ქართული საქმისათვის.

ამ უკანასკნელ ხანებში ევგენი ხშირად ამბობდა, რომ დიდხანს ვერ იცოცხლებდა; თითქოს გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას და ხშირად გველაპარაკებოდა სხვადასხვა შესაფერისი ზომების მიღებაზე, მთელი ქართული ძალების დარაზმვაზე და გაერთიანებაზე. ეს იყო მისი ანდერძი და ქართულ ემიგრაციამ მას ის უნდა შეუსრულოს.

ბ. გვარჯალაძე.

მეგობრივი ურთიერთობის არსებობა სსს. ღმრთობაში.

(მ. გ. გ. გ. გ.)

მეტად უბედური გამოდგა ეს უკანასკნელი ორი წელი. ჯერ იყო და გამოგვაცალა ჩვენი მეთაური, ჩვენი პრეზიდენტი, ჩვენი ნოე ჟორდანიანი. ახლა კიდევ მისი მოადგილე—ვეგენი გეგეჭკორი.

მეტად მძიმეა ჩვენი პატარა ქვეყნისთვის ერთად ორი ასეთი უბედურება. მაგრამ უნდა გაუძლოთ, ქედი არ მოვიხაროთ, წელში არ მოვიკაკვოთ, გული არ გავიტეხოთ. რამდენად დიდია უბედურება, იმდენად დიდი უნდა იყოს გამძლეობაც. ჩვენი ქვეყნის შემხედვარეთ არ გვაქვს უფლება სასო-წარკვეთილებას მივეცეთ. იობის მოთმინებით უნდა ავიტანოთ თავზე დატეხილი უბედურება.

«ნუ დაეცემი, დასდეგ, გამაგრდი, გახსოვდეს რომ ხარ ადამიანი!»—გვეტყოდა ახლა მამია გურიელი.

ვე. გეგეჭკორი ეკუთვნის საზოგადო მოღვაწეთა იმ კათეგორიას, რომელსაც ისტორია არც იგიწყებს და ვერც დაივიწყებს. მისი მოღვაწეობა ისე მტკიცეთ არის აღბეჭდილი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფურცლებზე, რომ მისი წაშლა ჩეკისტურ რუსეთსაც კი არ შეუძლია. ამ მოღვაწეობას ამ პატარა სამგლოვიარო წერილში მე არ მინდა შევეხ. აქ მინდა მოვიგონო მხოლოდ ჩვენი გაცნობის პირველი დღე და მისი დეპუტატთა არჩევა.

მეფის რეჟიმის დროს, თბილისში, ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია გეჭკონდა. იდგა მეტად სერიოზული საკითხები, ამიტომ მას თითქმის ყველა უმთავრესი პასუხისმგებელი პირი დაესწრო—ვინ გადამწყვეტი ხმით, ვინ—სათათბირო ხმით. თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანიანი. სხდომა გახსნილი იყო, როცა შემოვიდა ერთი ახალგაზდა სტუდენტი და ჩემს გვერდით დაჯდა. აშკარა იყო ის არ ეკუთვნოდა იმ «პროფესიონალ რევოლიუციონერთა» კადრს, რომელსაც ჩვენ იმ დროს შევადგენდით. პარტიული მუშაობის გამო ხშირად მიხდებოდა ხოლმე სხვადასხვა ორგანიზაციებთან მიმოსვლა, ბევრს, ძალიან ბევრს, ვიცნობდი პირადათაც, მაგრამ ეს სტუდენტი არსად შენახა. ჩემი ცნობის მოყვარეობა კიდევ უფრო გააღიზიანა იმან, რომ ხშირად მეკითხებოდა—ეს ვინაა, ის ვინაა. ძალიან მინდოდა გამეგო ვინ იყო და საიდან, მაგრამ თავი შევიკავე.

ოთხი თუ ხუთი საათი იქნებოდა შემოვიდა კრების მომწყობი, თავმჯდომარეს რაღაც მოახსენა და გავიდა. თავმჯდომარემ მორიგი ორატორი შეაჩერა და განაცხადა: კონფერენცია გაცემულია, აქ მისი გაგრძელება შეუძლებელია, შეწყვე-

ტაც ძნელია, რადგან საკითხები მეტად სერიოზულია. ამიტომ სხდომები უნდა გაგრძელდეს, ხოლო სად და როდის—გაიგებთ; ახლა კი დაიშალეთ წყნარათ და იქონიეთ კავშირი იმასთან, ვინც აქ მოგიყვანათო. აქედან-იქიდან წამოიძახეს—თუ აქ არ იშოვება სხვა ბინა გადავიტანოთ ქუთაისში, ან გუბიაშიო. ადგა ბაქოს დელეგატი და განაცხადა: წავიდეთ დღესვე ბაქოში, იქ ბინაც გვაქვს და დაცვასაც ჩვენ ვიკისრებთ, ხვალვე შეგვეძლება სხდომის გახსნაო. რატომღაც ეს წინადადება უკამათოთ იქნა მიღებული, იქვე განაცხადეს თუ როდის გადის მატარებელი და საღამოს, სხვადასხვა ვაგონებში ჩაჯდომით, გავსწიეთ ბაქოსკენ. დილით უკვე იქ ვიყავით და ნასადილევს სხდომაც გაიხსნა. და აი აქ გამოიჩინა რომ გვაკლდა მხოლოდ ის სტუდენტი, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა და რომ ის იყო ევ. გეგეუქორი, სენაკის სოც.-დემ. ორგანიზაციის დელეგატი. ყველა ძალიან შევწუხდით, არ ვიცოდი რა მოვიფიქრა. შემდეგ გავიგეთ რომ მას იმ დღეს ვერ ენახა მეგზური, მეორე დღეს კი არავინ იცოდა თუ სად ვიქნებოდით, ამიტომ წამოსვლაც ზედმეტი იყო. ამის შემდეგ მე ის დიდხანს არსად შემხვედრია.

1907 წელს, მესამე დუმის არჩევნების დროს, ამრჩევლებთან ერთად სხვადასხვა მაზრების ორგანიზაციების წარმომადგენლებიც იყვენ ჩამოსული ქუთაისში, სადაც დეპუტატის არჩევა უნდა მომხდარიყო. ჩვენ გვყავდა კანდიდატათ ძველი სოც.-დემოკრატი, უმაღლესი განათლებით, პროფესიით აგრონომი. მისი კანდიდატურა დამტკიცებული იყო პარტიის უმაღლესი ორგანოებისაგან და ის კიდევაც არჩეული იყო ამრჩევლათ (მაშინდელი საარჩევნო კანონით—ჯერ ირჩევდენ ამრჩევლებს, შემდეგ ამრჩევლები თავიანთ შორის—დეპუტატს). სანამ არჩევნები მოხდებოდა, ამხ. გრ. ლორთქიფანიძემ (დამოუკიდებლობის დროს—მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე იყო) ქუთაისის სოც.-დემ. კომიტეტის სახელით მიგვიწვია მაზრების ყველა პარტიული წარმომადგენლები და გვითხრა: ჩვენ გვყავს კანდიდატი, კაცი ფრიად პატივცემული და ღირსეული. მაგრამ აქვს ერთი დიდი ნაკლი—არის მოხუცებული. დუმა კი არის ბრძოლის ასპარეზი. აქ საჭიროა ახალგაზდული ცეცხლი და გამძლეობა. ხომ დავინახეთ რა უყვეს მეორე დუმის ჩვენ დეპუტატებს. რა გარანტიაა, რომ მესამე დუმაში უარესი არ მოხდება. ამიტომ უკეთესია გავგზავნოთ უფრო ახალგაზდაო. გაიმართა მოლაპარაკება, შეკითხვა საოლქო კომიტეტთან, რომელიც დათანხმდა თუ კი არის ამრჩევლათა შორის ვინმე ასეთიო. ამის შემდეგ გრ. ლორთქიფანიძემ გავვიცხადა, რომ სენაკის მაზრიდან არის ერთი ამრჩეველი, რომელსაც ის კარგათ იცნობს. ახალგაზდა, უმაღლესი განათლებით, ნიჟიერი და ბუნებით გაბედული. ეს არის ევგენი გეგეუქორიო. ყველა დავეთანხმეთ და ვაცნობეთ პარტიულ ამრჩევლებს ყველას მიეცათ მისთვის ხმა.

მე აქ მომავლანდა რომ ეს უნდა იყოს ის გეგმეუკორი, რომელიც დაესწრო კონფერენციას თბილისში. მოვინახე იმავე დღეს, ძალიან გაგვეხარდა შეხვედრა, მოვიგონეთ თბილისის კონფერენცია და გადავეცი მისი კანდიდატურის ამბავი. მან უკვე იცოდა ეს და მითხრა, რომ ეს მისთვის ყოველად მიუღებელია, რადგან ასეთი დიდი მოღვაწეობისათვის არ ვთვლი თავს მომზადებულათ. არჩევნების წინა დღეს მოვიწვიეთ საერთო კრებაზე რომ დაგვეჯერებია; აქაც უარი განაცხადა, მაგრამ აღარ გაუვიდა და მეორე დღეს, საღამოს, ის უკვე იყო მესამე დუმის დეპუტატი, პიროვნება ხელუხლებელი და საშიშარი იმათთვის, ვინც იქნებ, გუშინ დაჟერასაც კი უპირებდა.

ამ დღიდან ჩვენი ურთიერთობა როგორც საერთო, ისე კერძო, პიროვნული, ისეთი მჭიდრო და მეგობრული გახდა, რომ ის ვერ შეარყია დროთა უკუღმართმა მსვლელობამაც კი და მისი სიკვდილის უკანასკნელ დღემდე დარჩა ურყევი და უცვლელი.

დუმის უმაღლეს პოსტზე, მიუხედავად ახალგაზდობისა, ევგენიმ ისეთი ნიჭი და ბრძოლის უნარი გამოიჩინა რომ სულ მალე დუმის სოც.-დემ. ფრაქციის ერთი ლიდერთაგანი გახდა და მისი სახელი რუსეთის საზღვრებს გასცილდა. აქ არ არის ადგილი მისი დეპუტატობის დახასიათების, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ისეთი დინჯი და მოწინააღმდეგენის მიმართ ქებაზე ძუნწი გახეთი პეტროგრადში, როგორც იყო კადეტების «რეჩი», როცა მოიყვანდა ევგენის სიტყვას, ყოველთვის დაუმატებდა: «ასეთია გავლენა უთუოდ კარგი «რეჩი»-საო.

დასრულდა მესამე დუმა. დაიწყო მეოთხე დუმის არჩევნები. ახლა ევგენი აღარ იყო ის უცნობი ევგენი, როგორც მესამე დუმის დროს. ახლა მისი პრესტიჟი ძალიან მაღლა იდგა, მისი სახელი ყველას გაგონილი ქონდა და იმდენად საშიში პიროვნება გახდა მთავრობისათვის, რომ გუბერნატორი წინდაწინ აცნობებდა თავის ხელქვეითებს ევგენის ხელახლა არჩევისათვის ყველაფრით ხელი შეეშალათ. ამიტომ იყო რომ მის გარშემო წარმოებულმა საარჩევნო კამპანიამ სრულიად განსაკუთრებული ხასიათი მიიღო. მართალია წინასწარ ეტყობოდა, რომ არჩევნები მეტად ძნელი იქნებოდა, მაგრამ თუ ისეთი რამეები მოხდებოდა—არავინ ვიღოდა. ამრჩევლების ჩვენ აღარ გვეშინოდა, მაგრამ მთავრობა? აქ უნდა ვყოფილიყავით ყველა ფეხზე დაჟედილი, როგორც იტყვიან. ამ მიზნით ევგენის კანდიდატურა წამოვაყენეთ ორ ადგილას—ქუთაისში ქალაქის კურიაში*) და სენაკის მაზრაში წვრილ

*) საარჩევნო წესით ამრჩევლები დაყოფილი იყო ნაწილებათ, რომელსაც ეწოდებოდა კურია და ირჩევდენ ამრჩევლებს «ვიბორშჩიკ» ცალ-ცალკე, შემდეგ ეს ამრჩევლები იკრიბებოდენ ერთად დეპუტატის ასარჩევათ. გ. უ.

თავად-აზნაურთა კურიაში. ქუთაისში, თანახმად საარჩევნო კანონისა, საპირო იყო ქონებრივი ცენზი, ანდა დაქირავებული ბინა. ევგენის ქონდა ბინა და საპირო საბუთებიც წარდგენილი იქნა საარჩევნო კომისიაში, რომელმაც იცნო კანონიერად და კიდევაც შეიტანა ის საარჩევნო სიაში. მოხდა არჩევნები და მიუხედავად ადმინისტრაციის ზეგავლენისა ამრჩევლებზე—ევგენიმ და მისმა მომხრეებმა ბრწყინვალე გაიმარჯვეს. ამრჩევლებმა ღირსეულად დააფასეს ევგენის მოღვაწეობა დუმაში. მათ მიიღეს 900 ხმით მეტი, ვინემ მოწინააღმდეგემ. ქუთაისის ამ არჩევნებით ევგენის ხელმეორეთ არჩევა დუმაში სავსებით უზრუნველყოფილი იყო. და აი სწორეთ ამ მომენტიდან იწყება მის წინააღმდეგ ნამდვილი შეთქმულება. შეთქმულთა მეთაური იყო ადმინისტრაცია რომელსაც ახლა სასამართლოც მიემატა. შეთქმულთა გეგმა იყო—გაუქმება ქუთაისის არჩევნების და ჩაშლა სენაკის მაზრის არჩევნების. თანახმად ამ გეგმისა, როგორც კი გამიორკვა ქუთაისის არჩევნების შედეგი—მოწინააღმდეგენმა შეიტანეს საჩივარი სამაზრო კომისიაში არჩევნების გასაუქმებლად. საბუთად მოიყვანეს, თითქოს ევგენის საარჩევნო ცენზი არ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნილებას. სამაზრო კომისიამ განიხილა ეს საჩივარი, გააუქმა მომხდარი არჩევნები და ევგენი საარჩევნო სიიდან ამოშალა, იმ მოტივით რომ «დუმის სესიების დროს ის ქუთაისში არ ცხოვრობდა»-ო. რადგანაც ასეთი დადგენილება სავსებით ეწინააღმდეგებოდა კანონს, ევგენის მომხრეებმა ის გაასაჩივრეს საგუბერნიო კომისიაში. საგუბერნიო კომისიამ დაამტკიცა სამაზრო კომისიის დადგენილება და ეს დადგენილება გამოიტანა სწორეთ მეორე არჩევნების წინა დღეს, როცა ევგენის კანდიდატურის წამოყენება აღარ შეიძლებოდა. ამიტომ მის მაგიერ ამრჩევლათ სხვა იქნა წამოყენებული. ამ არჩევნებშიაც გამარჯვება სოციალ-დემოკრატებს ერგოთ.

ევგენის არჩევის იმედი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული. მას ქონდა უფლება არჩევნებში მონაწილეობის სენაკის მაზრაში. აქ მის საარჩევნო ცენზს ველარავინ გააუქმებდა. ამიტომ აქ სხვა ზომებს მიმართეს მის წინააღმდეგ. პირველი ზომა იყო შეტანა საარჩევნო სიაში მხოლოდ იმ პირების, რომლებიც ევგენის არ მისცემდნენ ხმას. მაგრამ არც ევგენის მომხრეებს ეძინა. ყველა გამოტოვებული პირები თვითონ გამოცხადდნენ კომისიაში და მოითხოვეს მათი სიაში შეტანა, რაც შესრულებულ იქნა. რაკი ამ ხერხმა არ გასურა—კომისიის თავმჯდომარე, თავად-აზნაურთა მარშლის მოადგილე, ვინმე ირ. თოფურიაშვილი ერთი საარჩევნო უბანი, ბანძა-ნავოლავეცი, თავის ნებით, წინააღმდეგ კანონისა, გაყო ორათ. მიზანი ამ ამ გაყოფისა იყო ის, რომ ნავოლავეცის უბანში უმეტესობა იყო ევგენის მომხრე, მაგრამ, სამაგიეროთ, ამრჩევთა რიცხვი იყო ბევრათ ნაკლები, უწევდათ მხოლოდ 3 რწმუნებული.

ბანძის უბანში კი უმეტესობა იყო ევგენის მოწინააღმდეგენი და ერგოთ 9 რწმუნებული. რაკი ასეთი გაყოფა განსაზღვრული მიზნით იყო გამოწვეული და ეწინააღმდეგებოდა კანონს ის იქნა გასაჩივრებული. კომისიამ გასაჩივრებული ბანძის არჩევნები დაამტკიცა და ყოველგვარი მოლოდინის წინააღმდეგ გააუქმა ნავოლაღევის არჩევნები, რომელიც არავისაგან არ იყო გასაჩივრებული. ამ არჩევნების გაუქმებით იხსნებოდა ევგენის კანდიდატურა, რადგან ის იქ იყო არჩეული. ეს დადგენილებაც გასაჩივრებულ იქნა საგუბერნიო კომისიაში, რომელმაც გააუქმა ორივე არჩევნები და დანიშნა ახალი არჩევნები, მაგრამ დანიშნა ბანძაში, რომელზედაც ნავოლაღევის საარჩევნო უბანი 20-25 ვერსით არის დაშორებული. ბრძოლამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ერთი მხრით მთავრობა და მისი კომისიები დაინტერესებულნი ევგენის არ არჩევაში, მეორეს მხრით ჩვენი პარტია, დაინტერესებული მის არჩევაში, მესამე მხრით მოწინააღმდეგე პარტია თავის კანდიდატებით. ჩვენ ვცდილობდით ყველა ჩვენი მომხრე ამრჩევლების მოყვანას, აღმინისტრაცია კი ცდილობდა სწორეთ უსენი არ მოსულიყვენ. ერთ ადგილას, შორი სოფლიდან მომავალ ჩვენს მომხრეებს, გზაში დახვდნ მოსყიდული პირები და მუქარით უკან გაბრუნება მოსთხოვეს. როგორც კი ეს ცნობა მოვიდა, ჩვენი მომხრეები მაშინვე გაეშურენ ცხენებით იქითკენ და კინალამ საქმე სისხლის ღვრით გათავდა. ბანდა გაიფანტა და ამრჩევლები მოვიდნ. დასრულდა არჩევნები, დაიწყეს ხმების დათვლა. ევგენის მომხრეების გამარჯვება იყო სრული. ევგენიმ მიიღო 148 ხმა, მოწინააღმდეგემ—98. როგორც კი გათავდა ხმების დათვა, ჯერ კიდევ სათანადო ოქმი არ იყო შედგენილი, რომ საარჩევნო ოთახში შეიჭრა მოწინააღმდეგე ბანაკიდან რამდენიმე კაცი, წააქციეს საარჩევნო ყუთი და მიფანტ-მოფანტეს ყველა საარჩევნო საბუთები. თავმჯდომარე თოფურიაშ, ნაცვლად საჭირო ზომებისა და არჩევნების დათავებისა, მიატოვა დარბაზი და გაიქცა. ევგენის მომხრეებმა დეპეშით გუბერნატორს სთხოვეს არჩევნების დათავების შესახებ, მაგრამ უარი მიიღეს. ყოველივე ამან გამოიწვია ისეთი აღშფოთება რომ დიდი მაცადინეობა შეიქნა საჭირო სისხლის ღვრა არ მომხდარიყო. არჩევნები გააუქმეს და დანიშნეს მესამე არჩევნები. ამ არჩევნებში იმდენი უკანონობა იქნა დაშვებული რომ მისი დამტკიცება ყველგვარ წესებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ დაამტკიცეს მაინც და ეს იმიტომ რომ ამ არჩევნებმა ახლა სამი რწმუნებული ზედმეტი მისცა ევგენის მოწინააღმდეგეს. მიზანი მიღწეული იყო—ევგენის კანდიდატურა საბოლოოდ მოიხსნა. ის მეოთხე დუმაში ველარ წავიდა და დარჩა საქართველოში.

1917 წელს დაიწყო რევოლიუცია. ამ დროს ის ქუთაისში იყო და პირველი დღიდანვე უდიდეს მონაწილეობას იღებდა მის მეთაურობაში. მაგრამ მალე ის თბილისში გაიწვიეს, სა-

დაც არჩეულ იქნა მუშათა და ჯარისკაცთა საოლქო ცენტრის თავმჯდომარეთ. ამ გზაზე მას ბევრი სახიფათო შემთხვევები ჰქონდა. ჩვენს ტერიტორიაზე გავლილი ასიათასობით დაშლილი და ყოველივე დისციპლინას მოკლებული ეშელონების გამგზავრება და მათი მუქარის თავიდან აშორება—ადვილი საქმე არ იყო და ამაში ევგენის, როგორც «საოლქო ცენტრი»-ს თავმჯდომარეს დიდი შრომა და ენერგია მიუძღვის. შემდეგ, როცა ამიერ-კავკასიის კომისარიატი დაარსდა—ის იქნა არჩეული მის თავმჯდომარეთ. სწორეთ ამ დროს მოხდა თურქების შემოსევა და მათ წინააღმდეგ ომი. აქაც მან დიდი მხნეობა და ენერგია გამოიჩინა. შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველო,—ის გახდა მისი საგარეო მინისტრი. საქართველოში მრავალნაირი უცხო ქვეყნის ჯარები იყო და მათი პრეტენზიები უსაზღვრო იყო. ყველა ამას სუირდებოდა დიდი ტაქტი, სიფრთხილე, გაზომილი და შორსმუყრეტი მოქმედება, ხან დათმობა, ხან სიმტკიცე და გამბედაობა. ყოველივე ეს ევგენიმ ღირსეულათ შეასრულა. საილიუსტრაციოთ მოვიყვან მრავალთაგან ერთ შემთხვევას. როცა ამიერ-კავკასიაში ინგლისელების ოკუპაცია დამყარდა, ბაქოდან გავლით თბილისში მოვიდა ინგლისის საოკუპაციო ჯარების უფროსი გენ. მ. თბილისის სადგურიდან მან გაუგზავნა თავისი ოფიცერი ევგენის, როგორც საგარეო მინისტრს—მისულიყო მასთან სადგურზე. ევგენიმ ოფიცერი ზრდილობიანათ მიიღო და გაისტუმრა. მაგრამ როგორც კი წავიდა ოფიცერი მაშინვე უბრძანა ჯავშნოსან მატარებლების უფროსს ვალოდია გოგუაძეს მ.-ის მატარებელი არ გაეშვა, სანამ არ ექნებოდა ბრძანება ამის შესახებ. ვ. გოგუაძემ მიიღო, რასაკვირველია, სათანადო ზომები. კოლონიებში დაჩვეული გენერალი უცდიდა სადგურზე საქართველოს მინისტრის მასთან გამოცხადებას, მაგრამ ეს მინისტრი სულაც არ ფიქრობდა მასთან მისვლას. პირიქით, ისვენებდა თავის სახლში. მ.-ს დიდხანს დასუირდა ცდა, ბოლოს, გაბრაზებულმა გასცა ბრძანება—წასულიყვენ. მაგრამ მატარებელი არ იძროდა. მივარდენ სადგურის უფროსს. მან განაცხადა რომ ბრძანება აქვს ვ. გოგუაძისაგან მატარებელი არ გაუშვას. ოფიცერი გოგუაძესთან მივიდა და მედიდურათ მატარებლის დაუყონებლივ გაშვება მოსთხოვა. გოგუაძემ განუცხადა რომ მინისტრის ბრძანების გარეშე მას ეს არ შეუძლია. ოფიცერმა ყოველივე ეს მ.-ს მოახსენა. მ.-მ. იგრანო რომ აქ შავკანიანები არ ყოფილან, იკადრა ოფიცრის გაგზავნა ევგენისთან ბოდიშის მოსახდელათ და თხოვნით მატარებლის გასაშვებათ. ევგენი სამინისტროში არ იყო, კარგა ხანს ეძიეს და როცა მოვიდა, მ.-ს თხოვნა მოისმინა და გასცა ბრძანება მატარებლის გაშვების. ვ. გოგუაძემაც მაშინვე შეასრულა ბრძანება და უკვე კარგათ შეღამებული იყო, რომ ბატონი გენერალის მატარებელი შავი ზღვისაკენ ზანტათ მიიწლანებოდა.

არავეითარი სახიფათო შედეგი ამას არ მოყოლია. პირ-
იქით. როცა შემდეგ, სულ სხვა პირობებში, მ.-ი გაეცნო ევ-
გენის, მისთვის ღიმილით ეთქვა: «იმედი მაქვს აწი აღარ დაგ-
ჯირდებათ ჩემი მატარებლის გაჩერება». და მართლაც აღარ
დასჯირებია.

და აი, დღეს აღარ არის ეს ტკბილი, გულკეთილი, ყველას
დამხმარე და გულშემატკივარი ადამიანი. ადამიანი, რომე-
ლიც თავის საზოგადო მოღვაწეობასთან ერთად არასდროს არ
ივიწყებდა თავის ადამიანურ მოვალეობას მოძმეთა მიმართ.

ორი დღის წინ გარდაცვალებისა დიდხანს ვიყავით ერ-
თად, რამდენი გეგმა გექონდა მომავალი მუშაობისათვის და...
უცრათ გაგეშორდა სამუდამოთ.

რა უღმობელი და დაუნდობელია ეს ოხერი სიკვდილი...
გწ. ურატაძე.

დიდი ადამიანი.

«გული ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან,
უბულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდინან».
რუსთაველი.

საქართველოს პრეზიდენტის და ქართველი ერის მეთაუ-
რის ნოე ჟორდანიას გარდაცვალებისგან გამოწვეული მწუხარ-
ება არ დამცხრალა, რომ ბედის ახალი რისხვა თავზე დაგვა-
ტყდა; სიკვდილმა ეროვნულ საქმეს ღირსეული დამცველი
მოსტაცა. ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების ცნობა ვით
მეზი გავარდა, უცხოეთში გაფანტულ ქართველთა გული და-
კოდა, დაანდვლიანა და ააქვითინა. ყოველ მხრიდან მწუხარ-
ების და გლოვის ხმა გაისმა. გრძნობის ტალღებში აცურდა
ქართველის გონება და ევგენისადმი სიყვარულმა და პატივის-
ცემამ შებოჭა, შინაური დავა გადაავიწყა, თვალცრემლიანი
შეკრიბა, შეახვედრა.

დილით ადრიან ევგენი ემზადებოდა საერთო საქმისთვის
მეზობლებთან შესახვედრათ, რომ სიკვდილის მახვილი ისარმა
შესწყვიტა მისი სულის ღელვა, მისი გრძნობიარე გულის
ცემა და ვით ანთებული ლამპარი ჩაჰქრა, ჩაიფერფლა.

რატომ ასე მწვავეთ იგრძო მისი უცაბედი განშორება
ქართველობამ, გაეზვია გლოვის ძაძებში და ცხარე ცრემლთა
დენით მიაცილა განსასვენებელ ადგილას!..

ევგენი იყო ადამიანი კაცთმოყვარეობით, ნაზი და თბი-
ლი გრძნობით აღსავსე. მოკეთის ტკივილებისა და მწუხარე-
ბის გამზიარებელი; ის განიცდიდა შებრალებას, შეცოდებას
და ქართველთა საშველად ეშურებოდა. მას მიმართავდნენ უბ-
რალე ყოფა-ცხოვრებისაგან გამოწვეულ გაუგებრობის მო-
საგვარებლათ, შინაური-ოჯახური დაბრკოლებათა დასაძლე-
ვათ. მეგობართა შორის უთანხმოების გასაფანტავათ.



ვეგენი იშვიათი დაკვირვებით ხედავდა, რომ სამშობლოს თბილ სხივებს მოკლებული ქართველის გული მგრძობიარეა, მისი გონება დატოვებულ სახლ-კარის მოგონებით შეპყრობილია, ამიტომაც იგი მუდამ ბედის მომდურავია, მას სჭირდება გამხნეება, სულიერი სიმტკიცის შენარჩუნება. ვეგენი თავის მოვალეობათ სთვლიდა გაქვირებულ თუ დაავადმყოფებულთან მისვლას, სანუგეშო სიტყვის თქმას, წახალისებას. უკანასკნელ ომის ხანაში ის ხშირად ხედებოდა უცხოეთში მომწყვდეულ ქართველ ტყვე ახალგაზდობას ვითარცა მამა მათ დარიგებას აძლევდა, ამხნეებდა და მათთან საუბრით თვითონაც, — თითქოს სამშობლოდან მობერილ ჰაერით სუნთქავდა, მომავალს იმედით შეპყურებდა; არა ერთჯერ ლტოლვილთა კრიტიკულ ფონზე, — ქართველთა გადასარჩენად, საკუთარ პიროვნებას არ ზოგავდა, გაბედული ნაბიჯის გადადგმით, დიპლომატიური ნიჭით და მოქნილი ტაქტიკით დაბრკოლებას სძლევდა და კვლავ უმთავრეს საზრუნავს — ეროვნულ სამსახურს აგრძელებდა. პოლიტიკურ საქმიანობაში შეუძლებელია მას არ ქონებოდა ვინმესთან უსიამოვნება, უთანხმოება. მეორე დღესვე ის ცდილობდა პირად დამოკიდებულების აღდგენას, კეთილ-განწყობილების დამყარებას, ამით ის მოწინააღმდეგეს ჩააფიქრებდა, მისდამი მორიდებასა და პატივისცემას აღძვრიდა. ასეთი თვისებებით დატვირთულს შეეძლო ხელმძღვანელი როლის შესრულება.

რატომ ასე მისტირის მას ჩვენი მეზობელი, დაჩაგრული ერები?

რუსეთისგან დაჩაგრულ ერთა დაცვა, მათი გასაპირი ძველი რუსეთის ტრიბუნაზე გამოიტანა, მათ გამოეცხადებოდა, ამით საკუთარ სამშობლოს საუკეთესო და ერთგული მეგობრები შესძინა და რა გასაკვირია, რომ ესლა მეორედ ჩაგვრის დროს, განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაჩაგრულ ერებმა მას ნდობა გამოუცხადეს, თავის მეთაურად გაიხადეს.

ნაზი და კეთილი, ამავე დროს ის იყო დაუნდობელი მტრის მიმართ, რაინდი და გაბედული, ყენევის შემთხვევას ის არ ამხელდა, იმით არ ამყობდა, თითქოს საყვედურობდა კიდევ რომ თავი ვერ შეიკავა... არა ეს იყო უდიდესი პროტესტი, სტიქიური, გულიდან ამონახეთქი, დიპლომატიური სამოსელი რომ მოიგლიჯა და ვეფხვივით შეუტია ქართველთა სისხლით გასვრილ საბჭოთა მინისტრს...

ვეგენი გეგეჰკორის პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეობის სრული დაფასება მომავლის საქმეა. მისი სახელი დაკვეთიებულია ნახევარ საუკუნის მანძილზე რუსეთ-კავკასიისა და საქართველოში მომხდარ უდიდეს ისტორიულ მოვლენებთან. ამ მოვლენათა გაშუქება მას მიანიჭებს ერთ ხელმძღვანელთაგანის როლს, რომელმაც ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა. თანამედროვის სიტყვებმა შეიძლება მკრთალად გამოხატოს ამ დიდი ადამიანის ღვაწლი, ხანგრ-

ძლივ მოღვაწეობის გზაზე საქართველოს ღირსებას ბრწყინ-
ვალეობით რომ მოსავდა, მის სახელს სასოებით ატარებდა,
მის უფლებას მხნეთ სდარაჯობდა...

უქანასკნელ ხანებში ევგენი გრძნობდა სიკვდილის სია-
ხლოვეს, გულდამშვიდებით უზიარებდა ზოგიერთ მეგობრებს
თავის წინათგრძობას, მაგრამ მისი სევდიანი თვალები ამავე
დროს უსათუოდ გვეუბნებოდენ დიდ ილიას სიტყვებს:

«მოხდეს იგი რაც მომელის
მაგრამ ჯავრი თან მიმყვება,
საყვარელი ჩემი ქვეყნის...»

... და ეს ჯავრი და საყვარული საკუთარი ქვეყნის მან
ჩაიტანა უცხოეთის მიწაზე გათხრილ სამარეში, მაგრამ მისი
საყვარელი სამშობლო მას ვერასდროს დაივიწყებს...

პ. ხარჯველაძე.

მეგობრის ხსოვნას.

ჩემი და, საერთოდ ყველა ჩვენი, უბედურების შემდეგ,
როცა ჩემი ძვირფასი ნოე მე გამშორდა,—ევგენი მეპყრობო-
და მე როგორც მოსიყვარულე ძმა. როცა გასულ წელში, ლე-
ვილში, ავთ ვიყავი, ის შემოდინდა ჩემთან ყოველდღე. რო-
ცა საშობოთ ჩემ ქალიშვილ ნათელასთან წავედი მთებში—
მან დაუძახა ჩემს სიძეს, ლევანს, და უსაყვედურა თუ როგორ
არ გამაფრთხილე თუ ინა ასე შორს მიემგზავრებოდაო და
დაუმატა: ჩვენ პასუხს ვაგებთ მის შესახებო. ასეთივე უკმა-
ყოფილება განუცხადა მან ჩემს ექიმს, რომელმაც ასეთი მო-
გზაურობის ნება მომცა. მან ისიც ჰკითხა—ხომ არაფერი სა-
შიშროება მოელის მის ჯანმრთელობასო.

ძვირფასო მეგობარო! როგორ ზრუნავდი ჩემი სიცოც-
ხლის შესახებ და... ბედის ირონია! შენ წახველი და მე კი ჯერ
ცოცხალი ვარ...

ჩვენ ხშირად ვკამათობდით ექიმობის მეთოდის შესახებ.
ის არ მეთანხმებოდა მე. ევგენი—უთხარი მე მას უქანასკნელ
შეხვედრის დროს: მე გადავრჩები, ექიმო წაეხმარება ჩემს ორ-
განიზმს; შენ მეტად სერიოზულათ ხარ ავთ და დაუმატე: შენ
არ უნდა წახვიდე კარლოს სასაფლაოზე. მართალია—მიპასუ-
ხა. ეს პირველი შემთხვევაა რომ მე კარლოს სასაფლაოზე ვერ
წავალ. სამი დღის შემდეგ ის აღარ იყო...

ის მოკვდა თავის პოსტზე და სულაც არ ფიქრობდა თა-
ვის თავზე...

ინა ქვრდინია.

ვეგენი გეგეჰკორის ხსოვნას.

ჩემი პირველი ჩასვლის დროს მოსკოვში, როგორც სტუდენტის. ვეგენი უკვე ესალმებოდა იქაურ უნივერსიტეტს. სტუდენტთა სათვისტომოს ერთ-ერთ კრებაზე მან წარმოასთქვა გამოთხოვების სიტყვა. კარგად მახსოვს მისი გადაწყვეტილება და საკუთარი თავის იმედი. ვეგენი იყო მაშინ ჩვენი, ყველასთვის მაგალითი, რომელიც ფიქრობდა თავის ქვეყნის ბედზე, მის მომავალზე და რევოლიუციონური აღტაცებით მიისწრაფოდა უსამართლოების წინააღმდეგ საბრძოლველად თავისუფლების დროშის ქვეშ.

ვეგენის იმ დროს ჩვენ, სტუდენტობა, შევცქეროდით დიდის იმედით, ვეპყრობოდით პატივისცემით და ყურადღებით. ვეგენიმ გაამართლა ჩვენი იმედი, დაწყებული რუსეთის დუმის ტრიბუნიდან, ვიდრე ამიერ-კავკასიის და საკუთარ ქვეყნის დამოუკიდებლობის ხანაში და შემდეგ თავისუფლების დაკარგვისა, მისი თავდადებული მოღვაწეობა ბრწყინვალეთ ჩაიწერება ისტორიაში. მან ღირსეულად ატარა საქართველოს თავისუფლების დროშა, მტკიცეთ იცავდა მის უფლებას.

ვეგენი გაგეჰორდა უაღრესათ საპასუხისმგებლო მომენტში, როცა ასე საჭირო იყო მისი გამოცდილი ხელი, მისი ხელმძღვანელობა. ანდერძათ დავგიტოვა—სიმტკიცე, ქართველთა მთლიანობა და ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე.

ჩვენი საერთო ვალია ამ ანდერძის შესრულება.

იოსებ ცინცაძე.

33. გეგეჰკორის დასაფლავება.

განსვენებული ვე. გეგეჰკორის გარდაცვალების დღესვე შესდგა დამკრძალავი კომისია, ყველა პარტიებისა და ჯგუფების წარმომადგენელთაგან ნოე ცინცაძის თავმჯდომარეობით. კომისიაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე პარიზის ქართველთა სათვისტომოს სახელით—მისი თავმჯდომარე შალვა აბდუშელი.

გამოსვენების დღეს—ხალხმა უკვე თორმეტი საათიდან იწყო დენა. აქ იყო ქართული ემიგრაცია თითქმის უკლისად. იყვნენ წარმომადგენლები უცხო ქვეყნების, მეზობელ ერების და სხვადასხვა სოციალისტურ პარტიების, პიროვნულად ზოგი რუსი პოლიტიკური მოღვაწენი, ამერიკის კომიტეტის რწმუნებული და სხ. ბინაზე ტევა აღარ იყო და დიდი უმრავლესობა იდგა ქუჩაზე. განსვენებულის კუბო დაფარული იყო ქართული დროშით და მრავალი გვირგვინებით. კუბოს თავ-

ში იდგა შავჩოხებში გამოწყობილი ძმები—კობახიძენი, ქართული დროშით ხელში. სამის ნახევარზე დაიწყო წესის აგება. მშვენივრად გალობდა ქართული გუნდი. წესის აგების შემდეგ კუბო გამოსვენებულ იქნა პატივისმცემელთა მიერ და საგანგებო ავტომობილით, მრავალ გამცილებელთან ერთად სოფ. ლევილისაკენ დაიძრა და იქ, შატოს კარებთან შეჩერდა. აქ კუბო გადმოსვენებულ იქნა და ხელით წაასვენეს ძმთა სასაფლაოზე. პროცესია დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა: წინ ქართველი ბავშვების მწკრივი გვირგვინებით და თაიგულებით ხელში, მათ ეხმარებოდნენ დიდებიც. შემდეგ მხრებზე გადგმული კუბო, შემდეგ მგალობელთა გუნდი, მღვდელი, ჭირისუფლები, უცხოელთა დელეგაციები და სხვა დანარჩენი. პროცესიამ, სანამ სასაფლაოზე მივიდოდა, მთელი სოფელი გაიარა. სასაფლაოზე, თანახმად წინასწარი შეთანხმებისა, წარმოთქმულ იქნა მხოლოდ ერთად-ერთი სიტყვა, მთავრობის წევრის, კ. კანდელაკის მიერ. ნ. ცინცაძემ, ზოგიერთი სამგლოვიარო უცხო დეპუტატების წაკითხვის შემდეგ, მალეობა გადაუხადა უცხო წარმომადგენლებს ქართველთა მწუხარების გაზიარებისათვის, რის შემდეგ «დიდება»-ს გალობით კუბო საფლაოში ნელ-ნელა ჩაეშვა. ევენის შვილის შვილმა, რუსუდანმა, კუბოს ერთი მუჟა საქართველოს მიწა მიაყარა და გულსაკლავი ქვითინით მიაძახა: «აჰ! ამისთვის იბრძოდი და ესეც წაილე თანო»...

უკვე გვიანი იყო, რომ დამწუხრებულნი დამსწრენი ნელ-ნელა წავიდ-წამოვიდნენ...

ოვი.

ე ვ ვ ე ნ ი გ ე გ ე ჯ კ ო რ ი ს

სამგლოვიარო სხდომა მიუნხენში.

ამაწლის 27 ივნისს მიუნხენის თვითმართველობის დარბაზში არა რუს ეროვნებათა გაერთიანების (პარიზის ბლოკი) მიერ მოწყობილ იქნა სამგლოვიარო კრება ამ გაერთიანების თავმჯდომარის საქართველოს საგარეო მინისტრის ევგენი გეგუქაორის ხსოვნის პატივსაცემლად. გარდა საბჭუთოთა კავშირში შემავალ ეროვნებათა წარმომადგენლებისა კრებას დაესწრენ: ბავარიის სამინისტროს და მიუნხენის ქალაქის საბჭოს რწმუნებულები, ამერიკული კომიტეტის პოლიტიკური მრჩეველი ბ-ნი პეჩი, ბონის პარლამენტის დეპუტატი ვ. ტიმე, პოლონელები, უნგრელები, ჩეხები, ბალტიელები და სხვ.

საკლოვიარო კრებას ხსნის უკრაინის პრეზიდენტი დრ. ს. ვაჟიცკი, რომელიც თავის შესავალ სიტყვაში ახასიათებს განსვენებულს, როგორც უკომპრომისო მებრძოლს მოსკოვის მიერ დაპყრობილ ერების განთავისუფლებისათვის და

მათი სუვერენული უფლებების აღდგენისთვის. და მოუწოდებს დამსწრე საზოგადოებას ფეხზე ადგომით პატივი სცენ განსვენებულის ხსოვნას.

უნგრელი პიანისტის ქ-ნ ე. ვოტისკის მიერ შესრულებული იქნა ბეთხოვენის სამგლოვიარო მარში.

ნიკო იმნაიშვილი გერმანულ ენაზე აცნობს საზოგადოებას განსვენებულ ევ. გეგეჟკორის ბიოგრაფიას და მის მნიშვნელობას საქართველოს სუვერენობის აღდგენისთვის ბრძოლაში. დეპუტატი ტიმე, რომელიც პირადათ იცნობდა ევგენი გეგეჟკორს, თავის მეტად მგრძნობიარე და შინაარსიან სიტყვაში ახასიათებს მას, როგორც მებრძოლეს ადამიანის და ერის თავისუფლებისათვის, თავისუფალ ერთა სოლიდარობის და საერთოთ დემოკრატიულ პრინციპების განხორციელებისთვის... ბ-ნი ტიმე ლაპარაკობდა გერმანულ სოციალ-დემოკრატების სახელით და მისმა გამოსვლამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე. ვ. ტიმეს შემდეგ ლაპარაკობს ბ-ნი პეჩი, რომელიც უმთავრესად ეხება განსვენებულის უკანასკნელ წლების მუშაობას, დაკავშირებულს ამერიკულ კომიტეტის საქმიანობასთან. კრემლის ტირანების მიერ დაპყრობილი ერების წარმომადგენელი და მათ შორის ორი რუსული დემოკრატიული ორგანიზაციისაც, თავის სიტყვებში საჯაროთ აღიარებენ, რომ განსვენებული ევ. გეგეჟკორი მართლ ქართველ ერს კი არ მეთაურობდა წითელი მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ჩვენ ყველასო...

კრება დასრულდა საქართველოს ეროვნული ჰიმნით.

გერმანულ და ემიგრანტულ პრესაში აღნიშნული იყო, როგორც განსვენებულის გარდაცვალების, ისე სამგლოვიარო კრების ამბავი. გერმანელ მსმენელებმა ბავარიის რადიო-გადაცემებიდანაც მოისმინეს ეს სამწუხარო ამბავი; ხოლო რადიო «განთავისუფლება»-ს რედაქციებმა თავ-თავის ენაზე აცნობეს საბჭოთა კავშირის მცხოვრებთ ევგენი გეგეჟკორის გარდაცვალება...

სამგლოვიარო კრების მომწყობ კომისიამ მიიღო სამძიმრის დეპეშები და წერილები: საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ბონის პარლამენტის საგარეო კომისიის თავმჯდომარისგან, მინისტრ ზეებომისგან, ჩრდ. ვესტფალიის მინისტრ-პრეზიდენტისგან, შტატსსეკრეტერ დრ. შტიანისგან, ბავარიის მთავრობის სახელით, ბავარიის სოციალდემოკრატიული პარტიის თავმჯდომარისგან, მიუნხენის ქალაქის თავისგან, აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის დირექტორისგან, პოლიტიკურ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლის რექტორისგან, დრ. პრილერისგან (ლტოლვილთა სამინისტრო), ჩეხოსლოვაკიის სოციალდემოკრატიული პარტიისგან და თავისუფალ ჩეხოსლოვაკთა საბჭოდან (ვაშინგტონი), ABN-ის ორგანიზაციიდან, ლიტოველთა ცენტრალურ კომიტეტისგან, უცხოელ ლტოლვილთა ცენტრალურ კავშირისგან, ბ. ბ. კრილოვისგან,

დოლენკოსგან, ქართული კოლონიის თავმჯდომარის გ. მაღალაშვილისგან, ბერლინელ ქართველების დავალებით კირილ ვეკუსგან, ერ. რამიშვილისგან—ზალცბურგიდან, ვ. გუნიასგან—ამერიკიდან და სხვ.

ის გარემოება, რომ ჩვენი მინისტრის და დიდი ქართველის ევგენი გეგეჭკორის ხსოვნის აღსანიშნავად სამგლოვიარო კრებას აწყობენ არა მარტო ქართველები, არამედ საბჭოთა კავშირში შემავალი თითქმის ყველა ერები—მოწმობს იმას, თუ რა პატივისცემა და ყურადღება დაუმსახურებია განსვენებულს ამ ერთა შორის...

მარტო ჩვენ, ქართველები, კი არ ვგრძნობთ ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების შემდეგ შექმნილ სიცალიერეს, არამედ სხვებიც. თუ გვინდა, რომ ის მდგომარეობა და ავტორიტეტი, რომელიც ჩვენ გვქონდა უცხო წრეებში განსვენებულის მეოხებით, არ დაგვარგოთ, საჭიროა, დღეს სხვადასხვა ბანაკებათ დანაწილებული ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, მჭიდროთ შეკავშირდეს, ერთ ავტორიტეტულ ორგანოს ირგვლივ დაირაზმოს და ასე იმოქმედოს საერთაშორისო ასპარეზზე... ეს იქნებოდა საუკეთესო პატივისცემა, როგორც განსვენებულის ხსოვნისადმი, ისე ჩვენი მოვალეობის საუკეთესოდ შესრულება სამშობლოს წინაშე...

ხანდრძე ვაძიანი.

პანაშვიდები და სამგლოვიარო სხდომები გაიმართა აგრეთვე ნიუ იორკში, სტამბულში, ინგლისში, ისპანიაში და აგენტინაში.

გამორჩენილი წიგნები და დეკაუზები.

სამგლოვიარო დეკაუზები და წერილები დაბეჭდილია «მებრძოლი საქართველო»-ს მე 19 ნომერში. საიდანაც გამოჩენილია შემდეგი: სამძიმრის წერილი და გვირგვინი საქარ. სოც.-დემ. პარტ., დეკაუზი ილია გოლდმანის და მისი მეუღლის-ლონდონის ქართულ სათვისტომოს გამგეობისაგან, აზერბაიჯანის ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე მემედ ემინი რასულ ზადეს და აზერბაიჯანის პარლამენტის და მთავრობის ყოფილი წევრი მუსტაფა ვეჟილისაგან ს. მენაღარის სახელზე.

გ მ ი რ ი—მ ე ბ რ ძ ლ ი.

ვლიდიმერ (ვალიდია) გელუაძის ხსოვნას

მძაფრი გრძნობა და მახვილი გონება ბუნებისგან მინიჭებულ ენათა მეტყველებას ამკობდა. უსამართლოების წინააღმდეგ აშხედრებულ სულს დინამიურ გაქანებას აძლევდა, უშიშარი ნებისყოფით მუდმივ ბრძოლის ქარცეცხლში იწვევდა, სადაც მან კპოვა თავის ცხოვრების დანიშნულება.—ექლიან გზაზე საელელად.

საკუთარ ჭერ-ქვეშიდან განდევნილი, თბილ კერას მოკლებული, ველად გაჭრილი გმირი, მხარ-თეძოზე წამოწოლილი, ყურს უგდებდა სოფლიდან მოძახილ სიდუხჭირის ხმას, საშველად უხმობდა მას სოფლის ჯალათებისგან შევიწროებული, რაც მას ბოღმას გვრიდა, ბრძოლის ეინი იტაცებდა, გაშმაგებული ეშურებოდა დანიშნულ ადგილას..

მისი გმირული თავდადების ეპიზოდები გაგრძელებაა ძველ მამა-პაპათა თავგანწირული ბრძოლების, რომლებიც მომავალ ქართველთა სისხლით დაწერილ ისტორიის ფურცელს დამშვენებს და თაობიდან-თაობას გადაეცემა. ბოლშევიკებმა სახალხო მოძრაობის აღწერაში გურიის დევნილთა ეპოსიც შეიტანეს, მხოლოდ ვალოდია, სერგო და თეოფილე იქიდან ამორიცხეს. დამალვით ფიქრობენ ისტორიის გაყალბებას. ამ ეპოსის შემქნელ პიროვნებათა ამოგდება ვერ უშველის მათ და გურიის ხალხის ჭირისუფალთა რიცხვში ვალოდია და მისი თანამებრძოლნი პირველ ადგილს დაიჭერენ.

ხალხის მტრებმა მისი ფიზიკური მოსპობა განიზრახეს. თუ თვითმპყრობელობის პოლიციამ ვერ შესძლო, სოფლის ყახადებმა შესძლეს მისთვის ფიზიკური ტკივილების მიყენება. მაგრამ ამით მისი ნებისყოფა ვერ გასტეხეს, იარალი ხელიდან ვერ გაადგდებინეს.

ვალოდია ყავარჯენით შეხვდა საქართველოს აღდგენას, მის განახლებულ ცხოვრებას. მას დასვენება არ ღირსებია, მხიარულებაში დრო არ უტარებია; თავისუფლება ახლად შობილ ბავშვივით გულში ჩაიხუტა, მისი სიყვარულით აღინთო, მისი დაცვის სამსახურში ჩადგა. მისი ჯავსნოსანი სამი საკუთარი ძმითა და რჩეულ ვაჟაკათა რაზმით ქვეყნის მტრებს თევზარს სცემდა, ერთი კუთხიდან მეორეში ელვის სისწრაფით ჩნდებოდა. ახლად შობილ სახელმწიფოს თავს ევლებოდა. გატაცებული.—ის თავდავიწყებას ეძლეოდა ბრძოლაში თავისუფლების სიყვარულით შეპყრობილი, სამშობლოს რწმენით შთენილი, უშიშროებით შეიარაღებული.

საქართველოს დაპყრობამ მისი გული ტკივილებით დასერა. ხოლო მისი სულის სწრაფვა თავისუფლების ხილვისა ვერ შედრიკა. უცხოეთს შეხიზნული თავის პოეტური აღმადრენით, ხალხური სიტყვიერებით ხიბლავდა და იმედს აძლევდა მის გარშემო მყოფ მეგობრებს.

თავის ერთგულ თანამგზავრ მეუღლესთან ერთად შექმნა თბილი კერა, რომლის კარი ყველა ქართველისთვის ღია იყო ლტოლვილის მწარე წუთების დასაღწეებლად, მშობლიურ სიტკბოების მისაღებათ.

როგორ შეეძლო შერიგებოდა სხვის მიწა-წყალზე ცხოვრებას მებრძოლი ვალოდია?... თითქოს თავის რკინის ენერჯიას ხარჯავდა მისივე შექმნილ ბალის მოვლაში, დილიდან-საღამომდე მოუსვენლად ტრიალებდა, ხოლო შესვენების დროს საკუთარ შემოქმედების თხრობით იზიდავდა ყველას



ვლადიმერ გოგუაძე.

ყურადღებას. მისი ბიოგრაფი გრ. ურატაძე *) გადმოგვცემს, რომ ვიშინსკის, რომელიც ვალოდიას თურმე იცნობდა ბაქოდან, რევოლიუციურ მუშაობაში.—მოუსურვებია მისი ნახვა. ვალოდიას პასუხი კი ასეთი ყოფილა: «ხალხის მოლაპარაკებებთან სალაპარაკოთ მე მხოლოდ ტყვია მაქვს»-ო. ეს პასუხი მთელი გმირული მოღვაწეობის აპოთეოზია, მისი დაუდებარი, მშფოთავი ცხოვრების შეურყეველად დასრულებაა, უკანასკნელ წუთამდე ჩაუქრობელი ცეცხლია ხალხის მტრების წინამდებ საბრძოლველად გამზადებული. მხოლოდ სიკვდილმა ჩააცხრო ეს გულის ღღევა და ბრძოლის უინი. უცხო მიწამ გაუღო პირი ქართულ სოფლის წიაღიდან შობილს. სიმართლის, ჭეშმარიტების და თავისუფლებისთვის ბრძოლაში გმირად ქცეულს. მისი სახელი ბრწყინვალე ასოებით ჩაიწერება წამებულ ერის ისტორიაში.


პ. ხარჯველაძე.

*) იხ. «მებრძოლი საქართველო» № 19.

ვლადიმერ (ვალოდია) სულაქველიძე.

რევოლიუციის დროს ქუთაისში იდგა ორი რუსული პოლკი. ომი შეწყდა მაგრამ პოლკი, გზებში არეულობის და მატარებლების უქონლობის გამო, დიდხანს დარჩა ქუთაისში. ერთი მხრით საჭირო სურსათის უქონლობა, მეორე მხრით ჯარისკაცების სურვილი, რაც შეიძლება ჩქარა სახლში წასვლის—ისეთ ნერვიულ ატმოსფერას ქმნიდა, რომ ყოველდღე მოსალოდნელი იყო ქალაქის დარბევა. სანამ რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდებოდა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მეოხებით პოლკში წესრიგი ასეთი იყო მაინც დაცული იყო. თავაშვებულებას მაშინაც ქონდა ადგილი მაგრამ დარბევის შიში მაინც არ იყო. როცა გადატრიალება მოხდა ბოლშევიკების შხამიანი პოლიტიკა აქაც შეიჭრა და ისედაც გაღიზიანებულ სალდათებს კიდევ უფრო ამხედრებდნენ რევოლიუციონური მეთაურების წინააღმდეგ, რადგან ეს მეთაურობა ბოლშევიკური არ იყო. ამის შემდეგ ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფათ, თითქმის ყოველდღე, შეიარაღებული გამოდიოდნენ ქალაქში, დათვრებოდნენ. მიანტრ-მოანტრევედნენ რამდენიმე დუქანს, დაიწყებდნენ სროლას და გარბოდნენ ყაზარმებში. ჯარისკაცებს მოემატა ტყეში გავარდნილი ყაჩაღების აშკარათ შემოსვლა ქალაქში და ცარცვა-გლეჯა. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ქალაქში გამოსვლა საშიში გახდა. ჯარისკაცების საწინააღმდეგო ძალის შექმნა შეუძლებელი იყო, მაგრამ ყაჩაღებისგან ქალაქის გაწმენდა, ძარცვა-გლეჯის მოსპობა და ქალაქში შედარებით მშვიდობიანობის დაცვა, რაც შეიძლება ჩქარა უნდა მომხდარიყო, თუ არ გვინდოდა, რომ რევოლიუციის წინააღმდეგ რეაქცია გაბატონებულიყო. ამ მიზნით, მუშათა საბჭომ ერთ-ერთ თავის სხდომაზე, გადასწყვიტა აეღო ხელში ქალაქის გაწმენდის და დამშვიდების საქმე. ამისთვის პირველყოფლისა საჭირო იყო მილიციის სათანადო კადრის შექმნა და მის მეთაურათ ისეთი პირის დანიშვნა, რომელიც შექმნილი მდგომარეობისათვის შესაფერი იქნებოდა. იყო რამდენიმე კანდიდატი, მაგრამ ვერც ერთზე გული ვერ შევაჯერეთ. ქუთაისის მუშების ერთმა ჯგუფმა გვირჩია დაგვენიშნა ამ თანამდებობაზე ვ. სულაქველიძე, რომელსაც ისინი ძალიან აქებდნენ. მე, როგორც საბჭოს თავმჯდომარემ, მოვიწვიე სულაქველიძე გასაცნობათ და თან შექმნილ მდგომარეობაზე მოსალაპარაკებლათ. ის მოვიდა, გავეცანი, მაგრამ ჩემზე არ მოახდინა შთაბეჭდილება იმ პირის, რომელიც საჭირო იყო იმ მომენტში. ერთი იმიტომ. რომ ის აღმოჩნდა პატარა ჩინის ოფიცერი და ისიც ზურგის ჯარის. გამოირკვა რომ ის არის ყოფილი მასწავლებელი და ისიც ფილოლოგი. ჩვენ კი ვეძებდით მაგარ,

გაბედულ მებრძოლ და აყალ-მაყალის ამტან პირს. ჩემს შეკითხვაზე—შესძლებს თუ არა ის ქალაქში წეს რიგის დამყარებას—მან მიპასუხა: ვიკისრებ თუ შესრულებული იქნება ორი პირობა. ერთი—რომ მეყოლება საჭირო რაოდენობა მილიციონერების და მეორე—მექნება მოქმედების თავისუფლება. ორივე ეს პირობა ჩვენ მივეცი. დავნიშნეთ იმავე დღეს ქალაქის მილიციის უკროსათ და მივეცი თნება თვით შეედგინა შტატი. თან შევპირდით. რომ როგორც მუშათა საბჭო, ისე ჯარისკაცთა, ყველაურით დავეხმარებოდით. მეორე დღეს ის უკვე მილიციის უფროსი იყო და შეუდგა ქალაქის გაწმენდას. რამდენიმე კვირაში ქალაქი მართლაც გასწმინდა ყველა საეჭვო პირებისგან, შეწყდა ცარცვა-გლეჯა. დაამყარა ისეთი წესრიგი, რომ ქალაქში ჩვეულებრივი ცხოვრება აღსდგა, გა-



ვლადიმერ სულაქველიძე.

რდა იმ შემთხვევისა, როცა გამოვიდოდნენ ხოლმე შეიარაღებული ჯარისკაცები. აქ რასაკვირველია მილიციას არაფერი შეეძლო და ჩვენც სხვა ზომებს მივმართეთ. მოვიწვიეთ თბილისიდან გვარდია, აყარეთ იარაღი და ნაწილ-ნაწილათ გავისტუმრეთ რუსეთში. ამის შემდეგ კიდევ უფრო გამტკიცდა წეს-რიგი და ქალაქი მშვიდობიანად განაგრძობდა ცხოვრებას. ამ ნიადაგზე ვალოდიას ბევრი მტერი გაუჩნდა მაგრამ ის არაფრათ აგდებდა. ის გამოდგა ისეთი გაბედული და უშიშარი, რომ ყველა განცვიფრებაში მოყავდა.

ვ. სულაქველიძის ადმინისტრაციული ნიჟის და გამბედაობის ამბავი, რასაკვირველია, თბილისამდის მივიდა და იქაური აწეწილი მდგომარეობის დასაწყობათ მისი თბილისისათვის დათმობა გვთხოვეს. ძალიან დაგვენანა, მაგრამ მე-

ტი რა გზა იყო. ის დანიშნეს თბილისის ქალაქის მილიციის უფროსათ. მან აქაც დიდი კვალი დააჩინა ქალაქში წესრიგის დამყარებას. შემდეგ როცა აფხაზეთში აიწვეწ-დაიწვეწა საქმეები ის დანიშნეს აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორათ, სადაც განაგრძობდა თავის ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ქვეყნის დაპყრობამდე. დაპყრობის შემდეგ ის მთავრობასთან ერთად უცხოეთში გამოიხიზნა. ერთხანს ცხოვრობდა სტამბოლში, შემდეგ საფრანგეთში, სადაც თავის პატიოსანი შრომით ირჩენდა თავს და არავის არ აწუხებდა, პირიქით, ეხმარებოდა კიდევ სხვებს.

ამ ბოლო დროს ავითმყოფობა დაეტყო. ექიმების შემოწმებით მას აღმოაჩნდა «სისხლის კიბო», რითაც გადაიცვალა 18 აგვისტოს არპაქონის საავითმყოფოში.

დიდი მადლობის ღირსია ქ-ნი ელენე ცაგარლისა, რომელმაც როგორც ავითმყოფობის დროს, ისე დასაფლავებაში, დიდი ჭირისუფლობა გაუწია მას. არც ექიმობით, არც მოვლით მას მისთვის არაფერი დაუკლია. ხოლო როცა გარდაიცვალა—ქარგი დასაფლავება მოუწყო.

დასაფლავებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს: კ. გვარჯალაძემ, ვ. ჯაველიძემ და რ. ყიფიანმა. დასაფლავება მოხდა ძმათა სასაფლაოზე სოფ. ლევილში.

გვ. ურატაძე.

მ მ ი ზ რ ა ც ი ა.

არავინ ლაპარაკობს იმდენს ერთობის საჭიროების შესახებ, რამდენს ემიგრაცია; და სწორედ ემიგრაციაში უფრო დარღვეულია ერთობა, ვინემ სხვაგან. საზოგადოების სხვა წრეებში.

ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა, და ჩვენთვის სანუგეშო არც ის არის, რომ ერთობის და მთლიანობის დაცვა, ეტყობა, ემიგრაციას საერთოდ უძნელდება: როგორც ჩვენსას, ისე სხვისას. ბევრი მაგალითია ამის მაჩვენებელი, როგორც სტეფანის, ისე ქართველ ემიგრაციის ცხოვრებაში. თუმცა დიდი ხნის განმავლობაში ქართველ ემიგრაციის მთლიანობა სტეფანისთვის სამაგალითო იყო. შესაძლებელია თუ არა ჩვენი ემიგრაციის დაშლილობას და, თუ შეიძლება ასე ითქვას. დაქსაქსვას რამე წამალი დაედვას? საჭიროა გულწრფელად და საფუძვლიანად გავეცნოთ და დავუკვირდეთ ამ საკითხს და თუ ამ სენის გამკურნავ წამალს ვერ ვიპოვიტ, სინამდვილეს მაინც შევხედოთ თვალში.

შევეხოთ საგანს ჯერ საზოგადოთ და საზოგადო მდგომარეობიდან საჭირო დასკვნები ჩვენს შესახებ გამოვიტანოთ.

ახლანდელი ემიგრაცია არ გავს ძველებურს, როცა თითო-ორთა კაცი, — მასიურათ სამშობლოს დატოვება გამო-
ნაკლისს წარმოადგენდა, — სხვადასხვანაირ მიზეზების გამო
უცხოეთში გაიხიზნებოდა ხოლმე და იქ, დროებით, თუ სამუ-
დამოთ, ახალ ცხოვრებას ეწეოდა, თავის საკუთარ გზით და
გაგებით. ეს ემიგრაცია არც პოლიტიკური ყოფილა ყოველ-
თვის: ხშირად უცხოეთში მიდიოდნენ სამუშაოს საძებნელათ
(მაგ., იტალიელები), სარწმუნოებრივი მოსაზრებით (მაგალ.,
რუსის სექტანტები) და სხვა კერძო ხასიათის მოტივებით.
პოლიტიკური ემიგრაცია, შედარებით, მცირე რიცხოვანი
იყო. დღევანდელი ემიგრაცია მასიურია; პოლიტიკურ პირო-
ბების გამო არის იგი უმთავრესად გამოსული უცხოეთში და
უმთავრესად პოლიტიკურ მოტივებით არის იგი ასულ-
დგმულბეული. ერთი ქვეყნიდან გამოსული, ყველა ემიგრან-
ტებს ერთი-მეორესთან აკავშირებს სურვილი იმ რეჟიმის
მოსპობის, რომელთან შეუთრგებლობის გამო გადმოსხვეწილ-
ნი არიან სამშობლოს გარედ; ესენი ერთი-მეორეს იცნობენ
და მრავალი პირობა ერთი-მეორესთან აახლოვებს.

ეს უკანასკნელი გარემოება თავს უყრის ერთი ქვეყნიდან
გამოსულ ემიგრანტებს ერთ წრეში და ანცალკეევებს იმათ
მათთვის უცხო სხვა წრეებიდან. ამ მოვლენას აქვს თავისი
დადებითი მხარეები: ასეთი ემიგრაციის გათქვეფა სხვა ხალხ-
ში ძნელია, იგი ინახავს თავის სხეს, თავის ზნე-ჩვეულებას,
თავის ენას. თუ სამშობლოში დაბრუნება მას ელირსება, ეს
ემიგრაცია და მისგან წარმოშობილი ახალი თაობა, — თუმცა
ამ უკანასკნელზე მეტ გავლენას ახდენენ უცხოეთის პირობე-
ბი, — ადვილათ იპოვის იქ თავის-თავს და გაწყვეტილ ცხოვ-
რებას უფრო ადვილათ განიხლებს. თავის ვინაობის შენახვა
ათეულ წლების განმავლობაში, უცხო ქვეყნებში, შეუძლებელ-
იქნებოდა, რომ ემიგრაცია მასიური არ იყოს, თავის სა-
კუთარ დაწესებულებებით, მათვისტომებით, სკოლებით,
პრესით, ეკლესიებით და სხვა ამგვარ სამკაულებით.

ხოლო, ამავე დროს, ამ განცალკევებას, ანუ საკუთარ
ცხოვრების მოწყობას უცხო პირობებში და იმის სამშობლო-
დან წამოღებულ ზნე-ჩვეულებით შემოფარგლას, აქვს თავი-
სი უარყოფითი მხარეებიც. ამათგან უპირველესია ის გარე-
მოება, რომ ერთ წრეში თავმოყრილი ემიგრაცია შიგნით იწ-
ყებს დანაწილებას სხვადასხვა ჯგუფებათ; ნაწილდება იგი
უმთავრესად იმ პარტიულ ხაზზე, სამშობლოში, საზოგადოე-
ბის ნორმალურ და ფართო პირობებში, რომ იყო დანაწილე-
ბული.

ამას ემატება სხვა გარემოება. ემიგრაციას სურს იცხო-

ვროს თავისი ქვეყნის ცხოვრებით, მას იქ უდევს სული და გული და იქაურ მაჯის ცემას—უნდა მას—ყური ათხოვოს. ეს კი ფაქტიურათ შეუძლებელი ხდება და საბჭოთა კავშირის პირობებში განსაკუთრებით: არავითარი ცოცხალი სიტყვა იქედან არ მოდის, უბრალო მოკითხვის ბარათსაც დედისაგან შვილისთვის მოწერილს, ემიგრაციაში ვეღარ იპოვით; იქაურ ცხოვრების ამსახვე ლიტერატურის, წიგნის, გაზეთის შესახებ ლაპარაკი თითქმის ხომ სულ ზედმეტია. ამიტომ ემიგრაციაში ბევრი ცხოვრობს უმთავრესად ძველი წარმოდგენით თავის ქვეყანაზე, იგი ძველიდან შემუშავებულ წესებზე ფიქრობს, ლაკარგულ მდგომარეობაზე, ან თავისთვის ახალ მდგომარეობის შექმნისთვის მომავალში მოსალოდნელ მომხრეებზე და მოწინააღმდეგეებზე. ეს არის ღრმა ფსიქოლოგიური მოვლენა და თუმცა იგი ყველა მასიურ პოლიტიკურ ემიგრაციას თან ახლავს, მაგრამ მოსაწონი და გასამართლებელი მაინც არ არის. ეს ემიგრაციის სენია და ისეთი სენი, რომ სიტყვა და ქადაგება იმას ვერ მოსპობს; იმის მოსპობა მხოლოდ იმის წარმომშობ პირობების მოსპობით არის შესაძლებელი.

ამნაირათ, ემიგრაციის დამრღვევი ძალა უმთავრესად თვით ემიგრაციის შინაურ არა-ნორმალურ მდგომარეობიდან გამომდინარეობს; მისი გამთიშავი მისი შინაური ამბები და ამიტომ მისი სენი უფრო ძნელათ გასაკუთრანავია, ვინემ სენი გარედან შემოტანილი.

ამ მხრივ რუსის ემიგრაცია, ყველა ემიგრაციებზე უფრო ძველი და მრავალრიცხოვანი, იძლევა თვალსაჩინო მაგალითს. იქ თავმოყრილია ყოფილი მემამულე და გლეხი, ქარხნის პატრონი და მუშა, მონარქისტი—თვითმპყრობელობის მომხრე და დემოკრატი—რესპუბლიკანელი, ლიბერალი და სოციალისტი. საბჭოთა წესწყობილების მტერია ყველა ესენი, იმის დანგრევის მომხრე; მაგრამ სხვადასხვა პირობებში აღზრდილნი, სხვადასხვა მსოფლმხედველობის მატარებელნი, სხვადასხვა სოციალურ მისწრაფების ხალხი, ესენი 37 წელიწადია უცხოეთში არიან გადმოხვეწილნი და ერთ ეროვნულ ემიგრაციას წარმოადგენენ, მაგრამ შეთანხმებულათ დღემდის ვერ მოქმედებენ: დავობენ წარსულის შესახებ, დავობენ მომავლის საკითხებზე და დავობენ იმდენს, რომ ამ დავაში ახლანდელ მათ მდგომარეობისთვის ნამდვილათ საჭირო მოქმედება თითქმის მივიწყებულია; სწორეთ კი იგი, მათი ახლანდელი მდგომარეობა და მათი უცხოეთში თავის-მოყრა. მათი მოქმედების გამაერთიანებელ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს...

მოვიხედოთ ახლა ჩვენსკენ. ვართ ამ მხრივ ჩვენ უცოდველნი, ქართველი ემიგრაცია? ჩვენს საკუთარ შეცდომებს, შეიძლება, ჩვენ თვითონ ვერც კი ვამჩნევდეთ. რა გვთიშავს ჩვენ?

უპირველეს ყოვლისა, ძველი ამბები, სხვადასხვანაირათ და სხვადასხვა ჯგუფურ თვალსაზრისით გაშუქებული, და მომავალზე ოცნება, ძველიდან დარჩენილ საზომით და ახლანდელ პირობებისთვის ყურით მოთრეულ დასაბუთებთ!

წარსულის მაგალითები დიხაც შესასწავლია; მომავალზე ზრუნვით განირჩევა ადამიანი ცხოველისაგან. სამწუხარო სწორეთ ის არის, რომ ვერც ერთსა და ვერც მეორეს უცხოეთში საერთოდ ჩვენ ვერ ვახერხებთ საფუძვლიანათ; და არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს საკითხები, საკითხები წარსულისა და მომავლის, ემიგრანტულ პირობებში წმინდა თეორეტიული ხასიათის საკითხებია და მათ შესწავლას დღესდღეობით აქ მხოლოდ აკადემიური ხასიათი ექნება. ჩვენი ქვეყნის ვერც ერთი საკითხი პრაქტიკულათ ხორცს ვერ შეისხამს, სანამ მის გზაზე უდაბური ტყე არის აღმართული, ნისლით მოცული და საშინელი; თუ ეს ტყე არ გაიწალდა, ფუჟია ოცნება სწორი გზის გამონახვის. ამაში დამხმარენი ჩვენ ყოველგან უნდა ვეძიოთ; მაგრამ უმთავრესი როლი ამაში, ქვეყნის განთავისუფლების საქმეში,—ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს,—მინც თვით ხალხს ეკუთვნის, ხალხს იქ დარჩენილს, მისი სულისკვეთების სიმტკიცეს, მის გამძლეობას, მის გადაწყვეტილებას იბრძოლოს ბოლომდის, და არა ემიგრაციაში გადმოხვეწილ პატარა ჯგუფებს. ჩვენ ამ ხალხის დამხმარენი უნდა ვიყოთ და, თუ შეგვიძლია, ჩვენი ფხა ამ დახმარებაში უნდა გამოვიჩინოთ: საქართველოს საკითხის პროპაგანდით ყველა ქვეყნებში,—ჩვენი ემიგრაცია ახლა ხომ მთელ მსოფლიოში არის გაფანტული,—ჩვენი ისტორიის, მწერლობის, ხელოვნების და საერთოდ ქართული კულტურის უცხოელებისთვის გაცნობით, ქართველ ერის უფლებების ყოველგან და ყოველგვარ შემთხვევაში დაცვით, გაცნობით და გახსენებით; თვით ემიგრაციის ნივთიერათ და მორალურათ მოვლით და გამაგრებით. აი საქმე, სადაც ყოველ ემიგრანტს სარგებლობის მოტანა შეუძლია და ყოველი დაჯგუფება ამისთვის საგრძნობ ძალას წარმოადგენს. ყოველივე ეს არ არის წერილობანი, იგი ჩვენი ქვეყნისთვის საპირო პოლიტიკურ საქმიანობას ეხმარება და ხელს უწყობს. ერთია მხოლოდ: ყველა ამ სფეროში მეტი ცოდნის და შრომის გამოჩენა საპირო, ვინემ ხშირად უპასუხისმგებლო და უშინაარსო დავაში წმინდა პოლიტიკურ საკითხებზე.

სახლი საძირკვლიდან შენდება და არა სახურავიდან. გასაგები იქნებოდა, რომ ემიგრაციაში ადგილი ჰქონდეს დავას «მამებსა» და «შვილებს» შორის; ამას ყოველგან და ყოველთვის აქვს ადგილი და ნათქვამია: ქვეყნისთვის ის სჯობს, შვილი რომ სჯობდეს მამასო. მაგრამ ემიგრაცია ასეთი «დავის» გამო არ არის დაყოფილი; პირიქით, ერთისა და იმავე თაობის ემიგრანტების პოლიტიკური ჯგუფები უფრო ეწინააღმდეგებიან ერთ-მეორეს, ვინემ «ახალი» და «ძველი» თაობის

წარმომადგენელი. და ეს იმიტომ, რომ—როგორც ვსთქვი—
ამ დანაწილებას ასულდგმულებს უმთავრესად ძველი ამბები,
ძველი ტრადიცია, ემიგრაციაში პარტიათა შორის ძველებურ
ურთიერთობის გადმოტანა.

გვავიწყდება, რომ, როგორც ყოველ საზოგადოებას, ისე
ემიგრაციას აქვს თავისი საერთო და გარდაუვალი ინტერესე-
ბი და მოვალეობაც. ამ სფეროში ემიგრაციის სხვადასხვა
წრეებს შორის სადავო თითქმის არაფერია, თუ ხელოვნურათ
არ შევიტანთ ერთსულოვნობის დამრღვევ ელემენტებს. რა-
გორც ზევით ვთქვი, ასეთი საერთო ინტერესების საკითხებია:
ემიგრაციის ნივთიერი და მორალური გამაგრება და კულტუ-
რული მრეწობა, ერთის მხრით; და ჩვენი საქმის პროპაგანდა
უცხო წრეებში, მეორე მხრით. აქ გაერთიანება უფრო ადვი-
ლი საქმეა, ვინემ იმ პოლიტიკურ საკითხებში,—ანუ, უკეთ
რომ ვსთქვათ, იმ სამოქმედო ტაქტიკაში, რომელიც
ემიგრაციის სხვადასხვა წრეს თუ ჯგუფს სხვადასხვანაირათ
ესმის, დიდი ხანია შეუთვისებია და მის პოლიტიკურ მსოფლ-
მხედველობას შეეფერება. ასეთი საკითხები პოლიტიკურ პა-
რტიებს უნდა დაეთმოს; ეს არის აზრი პოლიტიკურ პარტიე-
ბის არსებობის. პოლიტიკურ პარტიებს ჩვენ ვერ მოვსპობთ,
და რამდენათ უნდა გმობდეს ვინმე მათ არსებობას, საზოგა-
დოების პოლიტიკურ საქმიანობისთვის, დემოკრატიის პი-
რობებში, ისინი აუცილებელი არიან. ხალხი პოლიტიკურ
პარტიათა მოვალეობაა კარები არ ჩაიკეტონ და ამ საქმე-
ში მოიწვიონ პარტიის გარედ მდგომნი სასარგებლო პი-
რები.

უდავოა, რომ აქაც საჭიროა საერთო გზის გამონახვა. ეს
დამოკიდებულია თვით მომქმედ პარტიულ დაჯგუფებათა
წარმომადგენლების პოლიტიკურ ინტუიციანზე, ცოდნაზე, გა-
მოცდილებაზე, ურთი-ერთ გაგებაზე და დათმობაზე. სოცია-
ლური საკითხები არ გვაქვს აქ გასარჩევი. გვაცილებს ერთი-
მეორეს მეთოდი მუშაობისა? ვიმუშაოთ ცალ-ცალკე, თვი-
თოეულ პოლიტიკურ დაჯგუფებამ მის მიერ შეთვისებულ
შეხედულებით და წესით; ვიაროთ საკუთარ გზებით. მაგრამ
შეთანხმებული ვიყოთ, რომ მტერს ერთად დავარტყათ!.. ჩვენ
ცოტანი ვართ, ჩვენ არ გვარგია სხვა ემიგრანტების წესით და
ჩვეულებით სიარული; ჩვენს თავისებურებაში, ჩვენს ერთი-
მეორისადმი დაპირისპირებაში, ისე შორს არას დროს უნდა
წავიდეთ, რომ საჭიროებამ რომ მოგვთხოვოს მომავალში,
გაგვიკირდეს ერთად დაჯდომა და ერთად სიარული, ერთი-
მეორის წინააღმდეგ ახლა ნათქვამისა და ნამოქმედარის
გამო.

საქართველო თავის ერთობას უჩვენოთაც იპოვნის. ხში-
რად დაყოფილი და დაპირისპირებული, იგი საჭიროების
დროს მუდამ მთლიანდებოდა, საუკუნეთა განმავლობაში.
ჩვენს დროსაც: 1918 წლის 26 მაისს იგი გაერთიანდა ეროვნულ

დამოუკიდებლობის ზეიმში და 1921 წლის მარტში და 1924 წლის აგვისტოში იგი გლოვით შეიმოსა, გამსუვალული ერთი მთლიანი გრძობით. თუ ჩვენ მის მაგალითს არ გავეყვით, ქვეყანას არ გამოვადგებით. ჩვენს წინ ძალიან დიდი საქმეა გასაკეთებელი. ამისთვის ჩვენ ძალების შემატება გვჭირია და არა დაქსაქსვა. გულზედ ხელის საკრავი ჩვენ არავინ გვყავს, თუ იგი ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისთვის იბრძვის და არა განთავისუფლებისთვის მებრძოლთა წინააღმდეგ. სანამ ამას არ შეიგნებს ემიგრაცია, იგი თავის დაქსაქსულობით ათამამებს უპასუხისმგებლო პირებს შემცდარ ნაბიჯის გადასადგამათ ან ავანტიურაში გადასაყვარდნათ.

თუ ემიგრაციის გაერთიანება შესაძლებელია, ეს გაერთიანება უფრო ადვილია უპირველეს ყოვლისა ისეთ საკითხებში, რომელნიც არ იწვევენ პარტიულ სხვადასხვაობას და პარტიულ დავას. პარტიული ნეიტრალობა სრულებით არ ნიშნავს პოლიტიკურ ნეიტრალობას. არცერთ ემიგრანტს არ შეუძლია პოლიტიკაზე ხელი აიღოს. პოლიტიკურ საკითხებით არ დაინტერესდეს; ამ ნიადაგზე ვართ ყველანი უცხოეთში გადმოხვეწილი. როცა ბებელი, გერმანიის და საერთაშორისო სოციალიზმის გამოჩენილი მოღვაწე, ისეთ მებრძოლ ორგანიზაციებს, როგორიც არიან პროფესიონალური კავშირები, პარტიულათ ნეიტრალობისკენ მოუწოდებდა. ის ამით იმას კი არ ქადაგებდა, რომ პროფესიონალურ კავშირებს პოლიტიკაზე ხელი აეღოთ, არამედ ცდილობდა, რომ პარტიულ ნიადაგზე განსხვავებით მუშები პროფესიონალურ კავშირებში ერთი-მეორეს არ დაშორებოდნენ, არამედ ებრძოლათ ერთად; თავისი პოლიტიკურ-პარტიული შეხედულებანი კი პროფესიონალურ კავშირების გარედ დაეცვათ; ეს საჭირო იყო ძალების შესამატებლათ. ბებელი დიდი ტაქტიკოსი იყო პოლიტიკაში.

ჩვენ ხომ უფრო დიდი საქმე წინ გვიდგას, ვინემ პროფესიონალური კავშირებია. ყოველთვის უნდა ვეცადოთ პირველ პლანზე ისეთ საკითხების წამოყენებას, რომელიც არ გავგთიშავს პარტიულ სხვადასხვაობის ნიადაგზე. შემდეგ კი ვეცადოთ პარტიულ სხვადასხვაობათა შეთანხმებისთვის.

ძნელი საქმეა, როგორც წარსული გვეუბნება; მაგრამ იგი საჭიროა და მოსახერხებელი, თუ ამის სურვილი და მონდომება მართლა გვექნება, და ერთის ან მეორის მიერ დათმობისთვის გადადგმულ კეთილშობილ ნაბიჯს ერთის ან მეორის სისუსტეთ არ ჩავთვლით, არამედ მის წმინდა მოვალეობათ.

1924—აგვისტო—1954

1924 წლის აგვისტოს აჯანყების გასაღები ჩვენი ერის მამულისადმი უზომო სიყვარულში უნდა ვეძებოთ, რამდენად ის, შეიძლება ზოგიერთ გარეგნულ, ისიც მოჩვენებითი განსხვავებით, მაგრამ უცვლელი შინაარსით, სწორედ ამ საპატიო გრძნობით ნაკარნახევ ისტორიულ თავდადებათაგან აცმულ გრძელი ჯაჭვის ერთ ახალ რგოლთაგანს წარმოადგენს.

საქართველოს ისტორიული მტრები ახრებდნენ ქვეყანას, ამონებდნენ მოსახლეობას და ანიაგებდნენ მის ნივთიერ დოვლათს თუ სულიერ კულტურას დაუფარავი მიზნებით, უმანტიოთ, სხვისი მიწა-წყლის დაპყრობა-დამორჩილების წყურვილით გატაცებით. რუს-ბოლშევიკურმა ტირანიამ კი მზაკვრულად დაიპყრო ჩვენი ქვეყანა რევოლუციის სახელით, პროგრესის, ერის გაბედნიერების, მის პოლიტიკურ-ეკონომიურ «ჩაგვრისაგან» მხსნელის ნიღაბის ამოფარებით. სინამდვილეში ეს იყო მოსკოველ თვითმპყრობელთა მიერ პეტერბურგის თვითმპყრობელისაგან ზუსტად გადმოღებული გაშიშვლებული იმპერიალისტური აქტი პატარა ერის მიმართ, რომელმაც, საბჭოეთში გამეფებულ უსაშინლეს დესპოტიისაგან განსხვავებით, საკუთარი ცხოვრება მოკლე დროში საუკეთესო საკაცობრიო იდეალების, ადამიანის თავისუფლების, ხალხის ბატონობის საფუძველზე ააწყო და მით ერის მომავალს, მის ყოველ მხრივ წინსვლა-განვითარებას ფართო ასპარეზი გაუხსნა.

ამით 120 წლის განმავლობაში, მხოლოდ გარეგნულ ფერებით განსხვავებული რუსეთი მეორეჯერ შემოიჭრა ჩვენი ერის ცხოვრებაში, ამ უმად, შეიძლება ითქვას, გაცილებით ველური სისასტიკით. შავის ღირსეულმა მემკვიდრემ, წითელმა იმპერიალიზმმა, მოშალა საქართველოს სახელმწიფოებრივობა, გააუქმა დემოკრატიული რესპუბლიკა, მოსპო ყველა მისი მიღწევები, ქვეყანა კვლავ რუსეთის დიდ საპყრობილეში ჩაპყტა, ადამიანს ღირსება ახადა, პიროვნება გააქრო, უბრალო მასალად გადააქცია, მუშა ქარხანას მიაკრა, გლეხი გაძარცვა და მისი შრომის ნაყოფის უკლებლად მისაკუთრების მიზნით კოლექტივის ჯოგში შერეკა, აღკვეთა და კანონს გარეშე გამოაცხადა ყოველი სახის არა-კომუნისტური ფიქრი და აზროვნება, წაბილწა სარწმუნოება, ეკლესია, შეიჭრა ადამიანის თვით ტვინში და კომუნისტურ დირექტივებს დაუმორჩილა თვით სიტყვა-კანონი მწერლობა და... ყველა ამ ველურ უწესობით უმადურ-უკმაყოფილონი, რასაც თითებზე ჩამოსათვლელ კომუნისტთა გამოკლებით ფაქტიურად მთელი ერი წარმოადგენდა, ჩეკის განუკითხავ ტერორის ქვეშ დააყენა.

ჩეკამაც ხომ დავალება პირნათლად შეასრულა. გაჩაღდა პირწავარდნილი ნადირობა პატრიოტებზე, ამუშავდა შულმან-ოთარბეგოვების კოლტები, ციხეები პატიმრებით გამოიჭედა, ციმბირისაკენ ეშელონები ეშელონებს მისდევდენ. დაპირებული სამოთხე ქვეყანას შავბნელ ჯოჯოხეთად მოეფლინა. თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაწაფული და ამ თავისუფლებას უკვე ნახიარები ერი ჯალათ-მოძალადეთადმი ზიზღმა შეიპყრო, მას ყოფნა-არყოფნის საკითხი დაუდგა.

ასეთ პირობებში ბუნებრივი იყო, რომ უცხო რევიმით სულდახუთული და რეპრესიებით აწიოკებული ხალხი, მეტნაწილად ახალგაზობა, შველას ძალაუნებურად არაღეგალობაში ექებდა, ტყეებში იხიზნებოდა და იქედან, მცირე თუ მოწილ პარტიზანულ ჯგუფების სახით, თავაშვებულ რეპრესიებს უმკლავდებოდა. ამით კიდევ უფრო გაბოროტებული ჯალათებიც ხომ, პარტიზანთა მიუწდომლობის თუ მათგან დაფეთების შედეგად, ველურ ეინს ამ პარტიზანთა სამოქმედო არე-მარეთა უიარაღო მოსახლეობაზე სასტიკი შურისიებით იკმაყოფილებდა. ასეთ რბევა-აწიოკების შედეგი იყო მთელი პროვინციების მასიური გამოსვლები სვანეთში, ხევსურეთში და სხვა, რომლებიც საოკუპაციო ხელისუფლებამ რუს წითელ ჯარების საშვალებით სისხლის მორევში ჩაახრჩო...

ამ ყველასთვის კარგად ცნობილ ამბების კიდევ ერთჯერ მოგონებაზე განგებ შევჩერდით. აქი ყველაფერი ეს უკიდურესი სიაშკარავით მოწმობდა იმ სინამდვილეს, რომ ერი აღარ იყო მის თავს მოხვეულ მონურ ცხოვრების ამტანი და მისი მოთმინების ფიალა არა მხოლოდ აივსო, მან გადმოდენაც იწყო, გადმოდენამ მტრის სასარგებლოდ. ვინაიდან სხვადასხვა დროსა და მხარეებში მომხდარი გამოსვლები საგრძნობლად უადვილებდენ მის დამსჯელ რაზმებს მათთან გასწორებას. ეს კი ქვეყანას, მიზნის მიუღწევლად, სისხლისაგან დაცლით და დასუსტებით ემუქრებოდა, მტერს ანგარიშებს უმართლებდა.

აი, ასეთი მდგომარეობისთვის ალღოს აღებით, საჭირო და აუცილებელი გახდა ბრძოლის ერთ ლიანდაგზე შეყენება, მისთვის ერთი კალაპოტის მიცემა, დაქსაქსულ მომქმედ ძალთა კოორდინაცია, მათი ერთ ბრძოლის ცენტრთან დაკავშირება და, რაკი ერის აწ უკვე უდაოთ გამქლავებული ნება თავდადებას კარნახობდა, წინასწარ სათანადოთ მომზადებულ მუშტით, მწყობრი ერთდროული დაკვრას.

ამ მძიმე მისიის გაძღოლა-შესრულება, საქართველოში არაღეგაღურად მომქმედ პარტიების მიერ მიენდო «დამოუკიდებლობის კომიტეტს»...

აჯანყება დამარცხდა!.. მუხდალი მტერი, განსაკუთრებით ცენტრებში, მომზადებულად შეხვდა ერის ერთსულოვან რისხვას. კიდევ მეტი: როგორც დღეს უკვე ცნობილია, მან განგებ არ მოისურვა ამ აჯანყების მოხსნა, მისი სრულიად

აცილებდა, რაც მას მის ხელთ არსებულ აჯანყების სრული გეგმის დროზე გამქლავებით უეჭველად შეეძლო. მამულისადმი ღალატში დახელოვნებულ შულავერის იუდეების (დღეს სადღა არიან ის ვაჟბატონები!) სისხლის და შურის ძიების წყურვილი, ხალხის ეხლა უკვე «სამუდამოდ» სულიერად გატანის ილიუზიების დამატებით, უფრო ძლიერი აღმოჩნდა მათში, ვიდრე მორალი, ზნეობა და მოვალეობა, ურომლისოდ ადამიანი ამ სახელწოდების უფლებას ჰკარგავს.

მოიკლეს ეინი... თვით უძლურებმა, ისევ და ისევ უცხო ხიშტების მოშველებით, ნამდვილი ხლახური რევოლიუცია წამების ჯვარზე გააქრეს, ათასობით თავისუფლებისათვის მებრძოლთა და თვით უდანაშაულო მძევლებთა მხეცური ქლევით ქვეყანა ძაძებში გავიყვს; რაც დამახასიათებელია— იმ სინამდვილისათვის ანგარიშის გაუწევლად, რომ აჯანყებულთ, წითელი ჯარებით გამაგრებულ ორიოდ ცენტრების გამოკლებით, ყველა დანარჩენ პაროინციებში ძალაუფლების დაპატრონების დროს ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ, წვეთი სისხლი არ დაუღვრიათ და დაპატიმრებულ ხალხის მტრებისათვის ერთი ბალანიც არ შეურყვევიათ...

30 წელს ვითვლით მას აქეთ, მაგრამ ჩვენ, მომხდარის თანამედროვეთ, მის მოწმეთ, მახსოვართ თუ მონაწილეთ, ეს მწუხრით შერეულ გმირობის დატა ჯერ კიდევ გუშინდელ დღეთ გვეჩვენება, მას ისევ მწვევედ განვიცდით, ეროვნულად, ბევრნი პირადათაც. მიუხედავად ამისა ამ დიად ეროვნულ თავგანწირვისადმი სულ სხვა საზომით მიდგომა გვმართებს, რაიც ჩვენი პირადი გრძობის გარეშე იმყოფება...

ავვისტოში ქართველმა ერმა მოსინჯა მტრისგან თავის დაღწევის ერთი საშვალეობათაგანი. ის მას არ გაუმართლდა, განმარტოებული აღმოჩნდა მსუნაგ ვეშაპის პირისპირ. დღეს ეს აგრე აღარ არის. მთელი ცივილიზებული კაცობრიობა მისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოკავშირე გახდა. კაცობრიობის მტრის, კრემლის დესპოტიის გადაშენება დღის წესრიგში დგას. ის კი საწინდარია იმის, რომ ქართველი ერის მიერ ავვისტოში გამოტანილი განაჩენი შესრულდება და ის კვლავ 26 მაისს დაიბრუნებს.

დღეს კი, ეროვნულ დიდი გლოვის 30 წლის თავზე, მოწიწებით ქუდი მოვიხადოთ ვერაგულად დახოცილ მამული-შვილთა ძვირფასი ხსოვნის წინაშე. მოვერიდოთ, მიუდგომელ მემატინანეს მივანდოთ დამარცხების შინაურ თუ გარეშე მიზეზების ძიება და მსჯავრი და დამარცხებულ კონსულ ვარონისადმი ოდესღაც რომლის სენატის სულგრძელობის მიბაძვით, მადლობა, ქება-დიდება და საუკუნო ხსენება ვუძღვნათ მათ, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასით არ მოერიდა ერის განსაცდელისაგან გადარჩენას.

ეწ. რამ—ლი.

ქართული პრესა.

ნიუ-იორკელ გაზეთ «ცნობის ფურცელში» (№ 5) მოთავსებული იყო ამ გაზეთის რედაქტორის ბ-ნ გ. კობახიძის წერილი ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების გამო. ამ წერილში ბ-ნი კობახიძე, მისთვის ჩვეულ ლოიალობით, იხსენებს, სხვათა შორის, ზოგს ჩვენ სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებსაც, რომელნიც მხნეთ განაგრძობან პოლიტიკურ მოღვაწეობას. ახლა «ბედი ქართლისა» (№ 18) გვატყობინებს, რომ ბ-ნ კობახიძეს უთხოვნია ამ ქურნალისთვის, რათა გამოაცხადოს შემდეგი: «განსვენებული ე. გეგეჭკორისადმი მიძღვნილ წერილში ჩამოთვლილი მაქვს ძველ მოღვაწეთა გვარები, რომელთა შორის შეცდომით დასახელებულია ბ. გრ. ურატაძე» ო. ჩვენ ვიცნობთ ბ-ნ გ. კობახიძეს სხვა მისი საგაზეთო წერილებიდან და ამიტომ ასეთ განცხადებამ გაგვაკვირა.

რა თქმა უნდა, გრ. ურატაძეს არც შეემატება და არც დააკლდება რამე იმით, მოიხსენებს იმას რომელიმე გაზეთი საქართველოს მოღვაწეთა სიაში, თუ არა. გრ. ურატაძეს კარგათ იცნობს საქართველო, როგორც ძველ პოლიტიკურ მოღვაწეს ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის გათვითცნობიერებაში, საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის საქმიანობაში ლეგალურათ და კიდევ უფრო მეტად მძიმე არალეგალურ პირობებში, პარლამენტში და დამფუძნებელ კრებაში; იგი ჩვენი დესპანი იყო, ხელის მომწერი 7 მაისის 1920 წ. ხელშეკრულებაზე, რომელმაც ურყევი საბუთი მოგვცა ყველას საქართველოს მუხანათურათ ოკუპაციის და მის უფლებების დასაცავათ კაცობრიობის წინაშე...

დიახ, ძალიან უცნაურათ გვეჩვენება ჩვენი დამსახურებული ამხანაგის გრ. ურატაძის მიმართ ყოველთვის ზრდილობით აღსავსე გამოცემის რედაქტორის მხრივ: ჯერ ჩაწერა ქართველ მოღვაწეთა სიაში და შემდეგ საჯარო განცხადებით იმის ამოწერა ამ სიიდან!..

ცინიკური ამნისტია!

ჩვენს ტანჯულ ქვეყანაში დღიდან საბჭოთა წყობილების დამყარებისა და მოსკოვის გაბატონებისა, — მრავალი ათასი ქართველი ჯალათთა ტყვიით განიგმირა, ათასებმა ციმბირში დალიეს სული; წვალემა და ტანჯვა გრძელდება. ბერია, ეყოვი და ძმანი მათნი ერთიმეორეს ეცილებოდნენ უდანაშაულოთა მოსასპობათ. ბერია ქართველთა სისხლში გაცურვით ავიდა კრემლის ტრიბუნაზე და ჯილდოთ მარშლის ჩინებით დაიმშვენა გულ-მკერდი. მაგრამ როგორც კი სტალინის გადაშენებას მისი გვარი სამარცხვინოთ გადაჰყვა, მოქიშპეთა და მოსკოვის წინაშე მფორთხავი მეორე ჯგუფი ვილაც მქავანაძის მეთაურობით ქართველ ხალხს მოეწვინა. დაწინაურების ჟინით დაიწყო გუშინდელ მეგობრებისა და მეთაურების კიცხვა და ქირღვა, მათივე მონაწილეობით ჩადენილ მკვლელობათა გადაბრალება. ამის საუკეთესო ილიუსტრაციას იძლევა ამ ხანებში თბილისში მომხდარ მწერალთა ყრილობაზე გათამაშებული ტრალი-კომედიური აქტი. თავის დროზე ბერიამ დაიწყო ხელის ფათური შემომქმედთა წმინდა გულში. კომუნისტთა ყრილობებზე იგი ხან ერთს ამოთრახებდა — ხან მეორეს, მქავანაძეები მას ტაშს უკრავდენ, ალტაცებაში მოდიოდნენ, ესლაკი მქავანაძემ მალენკოვის გულის მოსაგებათ და ბერიას ერთგურ კიდევ წუმპეში ამოსასვრელათ — ჩვენს სახელოვან მწერლების მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილის და ტიციან ტაბიძის სახელებს რეაბილიტაცია გამოუცხადა.

«მე მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით ეს პირნი რეაბილიტებული არიან» — განაცხადა მან.

ჯერ აწვალეს, დატანჯეს, სიცოცხლეს გამოასალმეს, შემდეგ მკვდრებს ამნისტია გამოუცხადეს. დაცინვა ამაზე შორს ვერ წავა, ხალხს უნდა დაუმტკიცონ თავიანთი უდანაშაულობა, მათი გული მოიგონ, მაგრამ მქავანაძეები ხომ დღესაც აგრძელებენ ეყოვ-ბერიას ვხას და ქართველთა შვილებით ავსებენ ნესტიან სარდაფებს ან ცივ ციმბირისკენ ისტუმრებენ.

მქავანაძეების ასეთი თავხედობა და ცინიკური გამოსვლები დაიფარება, სანამ ეს სჭირდება მალენკოვს და მოსკოვს. მქავანაძის ამაღას მოუწევს თავისი რიგი და დაუნდობელი რეჟიმი მათთაც მოულებს ბოლოს და საიქიოს გაისტუმრებს. ქართველი ერი მაშინ ამოისუნთქებს, როცა სულთამხუთავი რეჟიმიც აღმოიფხვრება და განთავისუფლებული საქართველო ბერია-მქავანაძეებს წყველა-კრულვით მოიხსენიებს.

ა. მაღრიძე.

მიუნხენის ახლო—შტარნბერგის ტბის ნაპირას—ტუტ-ცინგში ამაწლის ივნისის პირველ რიცხვებში მოწვეული იყო საბჭოთა კავშირში შემავალ ემიგრაციაში მყოფ მეციერულ მუშაკთა კონფერენცია. მოწვეული იყო ეს კონფერენცია კულტურის და ისტორიის კვლევა-ძიების ინსტიტუტის მიერ. როგორც ცნობილია, ეს ინსტიტუტი არსებობს მიუნხენში 1950 წლიდან, ამერიკულ კომიტეტის დახმარებით. ერთ წელიწადზე მეტი იქნება, რაც ამერიკულ კომიტეტის მიერ არის წარმოგზავნილი ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან განსაკუთრებული რწმუნებული, მრჩევლის სახით, და მის მოვალეობას, სხვათა შორის, შეადგენს ამ ინსტიტუტის ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება... ეს ინსტიტუტი, დაარსებიდან თითქმის უკანასკნელ ხანამდის, სავსებით ემიგრაციის რუსული სექტორის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. არა რუსული ემიგრანტული მეცნიერული ძალები აქ არ იყვნენ წარმოდგენილნი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე არა რუს მეცნიერ მუშაკს, რომელნიც პირადად დაკავშირებულნი იყვნენ ინსტიტუტის რუსულ ხელმძღვანელობასთან და არავითარი კავშირი არ ქონდათ თავ-თავის ავტორიტეტულ ეროვნულ წარმომადგენლობასთან...

ინსტიტუტის გამოცემებში ამ ხნის განმავლობაში იშვიათად თუ ვხვდებოდნენ საკითხებს დაკავშირებულს არა რუს ეროვნებების ცხოვრებასთან...

ამ ნაკლებ იყო მითითებული, როგორც პირველ, ისე მეორე კონფერენციაზე, ამ ინსტიტუტის მიერ რომ იყო მოწვეული, მაგრამ საქმის ვითარება მაინც ძველებურად დარჩა...

მიუნხენში არსებულ «პარიზის ბლოკი»-ს სამოქმედო კომისიას არ შეეძლო ამ არანორმალურ მდგომარეობისთვის ჯეროვანი ყურადღება არ მიექცია და მან შეთანხმებით მასში შემავალ «ცენტრებთან» გადადგა შესაფერი ნაბიჯები ამ ინსტიტუტის მართვლობის რეორგანიზაციის მოსახდენათ... კომისიის აზრით, თუ ეს ინსტიტუტი უნდა ემსახურებოდეს არა მარტო რუსების, არამედ სხვა ხალხების ინტერესებსაც, მაშინ ინსტიტუტის მართვლობაში უნდა ყოფილიყვნენ წარდგენილნი რუსებთან ერთად თანასწორ უფლებებით სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნიც. ამ მიზნით «პარიზის ბლოკის» რწმუნებულებს ჰქონდათ არა ერთჯერ შეხვედრა ამერიკ. კომიტ. რწმუნებულ პროფ. ბალისსთან და მის თანაშემწე მრ. ალექსანდერსთან. ამ შეხვედრებმა სასურველ შედეგს მიახწიეს.

ამერიკ. კომიტეტის რწმუნებულები დარწმუნდნენ არსებულ არანორმალურ მდგომარეობის შეცვლის აუცილებლობაში. და მიღებულ იქმნა დადგენილება ინსტიტუტის მართვლობის რეორგანიზაციის შესახებ.

აი ამ ახალ ატმოსფეროში დაიწყო მზადება მესამე კონ-

ფერენციის მოწვევისათვის. შედგა სპეციალური კომისია ამ მიზნისათვის, რომელშიდაც თანასწორად იყვნენ წარდგენილნი როგორც რუსები, ისე არა რუსებიც... კონფერენციაზე იყვნენ მოწვეულნი საკმარისი რიცხვი არა რუსებისა და ეროვნულ საკითხსაც კონფერენციაზე დათმობილი ქონდა უმთავრესი ადგილი. დამახასიათებელია, რომ ზოგიერთი ორატორები—მაგ. უკრაინელები და ბელორუსები—თავის მშობლიურ ენაზე გამოდიოდნენ ყრილობაზე.

ქართველების მხრივ მოწვეულ იყვნენ კონფერენციაზე ბ. ბ. კ. კანდელაკი და გრ. რობაქიძე.

ბ. კ. კანდელაკის მოხსენებამ კრემლის ეროვნულ პოლიტიკაზე კავკასიაში გამოიწვია დიდი ინტერესი დამსწრეთა შორის და ის მხურვალე ტაშით იქმნა დაჯილდოვებული... ეს მოხსენება იქმნა მიჩნეული ერთ-ერთ საუკეთესო მოხსენებათ კონფერენციაზე. განსაკუთრებით კავკასიელები განიცდიდნენ უაღრეს კმაყოფილებას, რომ მომხსენებელის მიერ ასე მჭერმეტყველურად და სავსებით გაშუქებულ იქნა კავკასიის პრობლემა უცხოელთა წინაშე.

საქართველოში ნამყოფ უკრაინელ პროფესორმა დუბროვსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ის დიდად მოხარულია, რომ შემთხვევა პქონდა ბ. კანდელაკის საუცხოველ მოხსენების მოსმენის... და თითქმის ყოველივე მხრიდან ასეთივე დაფასება ხვდა წილათ ჩვენს პატივცემულ მომხსენებელს.

ჩვენმა ცნობილმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მას არ აკმაყოფილებს დღემდე წარმოებული ინსტიტუტის მუშაობა. მისი აზრით საჭიროა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ბოლშევიზმის წარმოშობის და განვითარების შესწავლას...

ბ. რ. არსენიძე, რომელიც მიწვეული იყო კონფერენციაზე, როგორც რადიოს ქართული რედაქციის მთავარი რედაქტორი, თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნავს წითელი მოსკოვის «ველიკოდერჟავნიკულ» და რუსული შოვინისტური პოლიტიკის გაძლიერებას საქართველოში—განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში. ამის დასამტკიცებლად, სხვათა შორის, მას მოყავს ცნობა, რომ საქართველოს განაგებს დღეს არა ქართული კომუნისტური ხელისუფლება, არამედ თბილისში მდგომი საბჭოთა ჯარის მეთაური, ლენერალი ანტონოვი ო... ეს ლენერალი პირველ მაისის დღესასწაულზე მისალმებია ქართველ ხალხს, როგორც ჯარის, ისე «საქართველოს მთავრობის» და პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელითაც... ეს ფაქტი მოკლეთ, მაგრამ აშკარად დალადებს საქართველოში შექმნილ მდგომარეობაზე, დასძინა ბ. რ. არსენიძემ.

აგრეთვე სხვა ეროვნებათა მომხსენებლებიც თავის მოხსენებებში ეხებოდნენ თავ-თავის ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას და ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლის უდიდეს მნიშვნელობას.

ისინი, ვინც პირველი ორი კონფერენციის მონაწილენი იყვნენ, გაკვირვებით აღნიშნავენ იმ გარდატეხას, რომელიც უსათუოთ მოხდა ინსტიტუტის ცხოვრებაში... ეოფენულ საკითხის წამოყენებას ახლა კი არ გაუბრბიან კონფერენციანზე, როგორც ეს წინათ იყო, არამედ მას პირველ რიგზე აყენებენ და სრულ ობიექტიურ ფორმებში ცდილობენ გარკვევას და გაგებას იმისას, თუ რა იყო მიზეზი ამა თუ იმ ქვეყანაში ბოლშევიზმის დამკვიდრებისა...

აღსანიშნავია, რომ კონფერენციანზე ახლა მრავალი ისეთი პირები იყვნენ, და ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას მის მუშაობაში, რომელნიც წინათ სრულებით გაუბრბოდენ ამერიკულ კომიტეტთან და მის წამოწყებებთან ყოველივე კავშირს.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ მოხდა საორგანიზაციო კრება, რომელზედაც არჩეული იქმნა ინსტიტუტის სახელმძღვანელო ორგანოები: სამეცნიერო საბჭო და დირექცია. თუ წინათ ამ ორგანოში იყო რუსების დიდი უმრავლესობა, დღეს მდგომარეობა სავსებით შეცვლილია. სამეცნიერო საბჭო შედგება 7 წევრისგან და რუსებს იქ აქვთ მხოლოდ 2 ადგილი; დირექციაში კი შედის 3 კაცი—ამთგან ერთი რუსი და ორი არა რუსი.

უნდა ითქვას, რომ რუსებმა ამ კონფერენციანზე გამოიჩინეს სრული ლოიალობა არა რუს წარმომადგენელთა მიმართ. იმედი უნდა ვიქონიოთ. რომ მომავალშიდაც ისინი განაგრძობენ ამ მიმართულებით შეთანხმებულ მუშაობას არა რუს ეროვნებათა მეცნიერულ მუშაკებთან და ამით ხელს შეუწყობენ საერთო ანტიბოლშევიკური ფრონტის განმტკიცებას...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის რუსი მეცნიერული მუშაკები, რომელნიც პოლიტიკურად დაკავშირებულნი არიან ან სოლიდარისტებთან, ან კერენსკი-მელგუნოვის ორგანიზაციებთან, არ ღებულობენ მონაწილეობას ინსტიტუტის მუშაობაში...

ამასთანავე საჭიროა აღვნიშნოთ ჩვენი ემიგრაციის საყურადღებოთ, რომ ინსტიტუტის მიერ ენიშნება სტიპენდიები იმ პირთ, რომელნიც მოისურვებენ შრომის დაწერას ამა თუ იმ თანამედროვე საკითხებზე, დაკავშირებით საბჭოთა ქვეყნების სინამდვილესთან. კარგი იქნება, თუ ქართველი ინტელექტუალური ძალები მიაქცევენ ამ ფრიად საინტერესო მოვლენას ჯეროვან ყურადღებას და სხვებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას ინსტიტუტის შემოქმედებით მუშაობაში. ამით ისინი გამოიყენებენ ამ დაწესებულებას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საკითხების გასაშუქებლათ და მით საქართველოს საქმეს სამსახურს გაუწევენ.

თ ე ჯ ი ს ე ბ ი *)

საბჭოთა მთავრობამ ოკუპაცია უყო კავკასიის ეროვნულ რესპუბლიკებს იმ მატერიალურ მიზნების მისაღწევათ, რომელნიც საფუძვლათ დაედვენ შემდეგში საბჭოების პოლიტიკას კავკასიაში.

საბჭოთა მთავრობა, ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას დღიდანვე, არაერთარ ანგარიშს უწევდა, არც არსებითად და არც ფორმალურად, კავკასიის ერების ელემენტარულ უფლებებს და ინტერესებს.—თავის მატერიალურ მიზნების მისაღწევათ ბოლშევიკები მიმართავენ კავკასიაში ზომებს, რომელნიც ახასიათებენ ქვეყნის მტრის მიერ ომით დაპყრობის წესებს: აშკარა ძარცვა-გლეჯა; სახალხო ქონების მითვისება; ადგილობრივი უფლებრივ-უპირატესობათა კრემლის მთავრობის სასარგებლოთ გამოყენება.—მიწის ნაციონალიზაციამ და კოლექტიურ მეურნეობამ სავსებით ჩამოაცილა გლეხობა კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებას.

კრემლის ნაციონალურ პოლიტიკის ღერძს კავკასიაში ამ ქამათ წარმოადგენს საბჭოთა კონსტიტუციის მიერ დაკანონებული სახალხო-სამეურნეო ცენტრალიზმი და ამ ცენტრალიზმზე დამყარებული სახელმწიფო ფინანსები (ბიუჯეტი).—«უკლონისტები».—არსებულ მდგომარეობის ანალიზი: უფლებებს სახალხო-სამეურნეო და საბიუჯეტო სფეროში, მინიჭებულს კონსტიტუციის მიერ საკავშირო ხელისუფლებისთვის, ეს უკანასკნელი იყენებს კავკასიაში ეროვნულ რესპუბლიკების სარუსიფიკაციით (გასარუსებლათ) და, საზოგადოთ, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრისთვის დასამონებლათ.—საბჭოთა ხელისუფლებაც ისე, როგორც ძველი რუსეთის მთავრობა, სარგებლობს კავკასიის სტრატეგიულ მნიშვნელობას თავის სასარგებლოთ.—საბჭოთა ხელისუფლების ვითომდა კულტურული მუშაობა ეროვნულ რესპუბლიკებში ემსახურება უმთავრესად კომუნისტურ პროპაგანდის დანიშნულებას.

კრემლის პოლიტიკა კავკასიაში არის პოლიტიკა ძალმომრეობის. ეს პოლიტიკა ხელს უწყობს ცენტრიდან ჩამოშორებულ ძალების ზრდას და აშორებს მოსკოვს კავკასიის ერებს: კავკასიის ერები იბრძვიან თავის უფლებებისთვის ეროვნულ თავისუფლებისა და დამოუკიდებლათ არსებობისთვის.

*) განვითარებული და დასაბუთებული კ. კანდელაკის მიერ თავის მოხსენებაში ამ თემაზე: «კრემლის ნაციონალური პოლიტიკა კავკასიაში» (სამეცნიერო მუშაკთა კონფერენციაზე ტუტცინგში—გერმანიაში—5—7 ივლისს 1954 წ.).

პარტიაში და სინდიკატებში.

მუშათა წინააღმდეგობანი ჩეხო-სლოვაკიაში.

ამა წლის ივლისის «რევოლუციური სოციალისტ»-ში აწერილია ჩეხო-სლოვაკიის ბრძოლა კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ. სოციალისტური ურნალი «პრადოლიუდო»-ს სტამბის მუშების ნაწილმა გადასწყვიტეს გაფიცულიყვნენ. სხვა სტამბის მუშები შეპირდნენ მათ, რომ ისინი მოახდენდნენ გაფიცვას სოლიდარობისას. გაფიცვა ჩინებულათ ჩატარდა. 48—50 წლამდე იყო ცოტათ თუ ბევრათ სისტემატიური წინააღმდეგობანი. წინააღმდეგობის გაწევის სურვილით გაიმსჯვალა ისეთი ორგანიზაციაც კი, როგორც არის ოფიციალური სინდიკატი, რომლის წევრთა რიცხვი სამ მილიონს აღწევს. აქაც აპირებდნენ გაფიცვას, მაგრამ მთავრობა წავიდა დათმობებზე, რის გამოც გაფიცვა აღარ დასპვიერბიათ. 1950 წ., შემოდგომაზე, მოხდა იტალიური გაფიცვა ნახშირის მალაროებში. ამან გათიშა კომპარტია. ძველი, ე. წ. კომ. გვარდია, რომელიც იდგა კომ. პარტიის სათავეში, მოითხოვდა გაფიცულთა დაკმაყოფილებას. ამან შეიტანა დიდი დუზორგანიზაცია კომ. ორგანიზების წრეებში. ამით აიხსნება ამ იტალიური გაფიცვის განსაცვიფრებელი გამარჯვება. გაფიცვა დაიწყო სილენიაში და 48 საათის განმავლობაში მოედო მთელ ჩეხო-სლოვაკიას. მუშებს აშკარა გამოსვლის სურვილიც კი დაებადათ. 1951 წ. ნოემბერში მოხდა მეტარულგიური მუშების გაფიცვა ბრნოში. ამას მოჰყვა რამდენიმე ათასი მუშის მანიფესტაცია მოედანზე. 1953 წ. მაისში მოხდა გაფიცვა ფულის რეფორმის გამო პილენში, ოროვეში, ელოდნოში და პრალაში. ყველგან იმართებოდა მანიფესტაციები ქუჩებზე. «კავშირი კომუნისტების», მუშათა მილიციის ნაწილი და ნაწილი მუშათა ახალგაზდების შეჯგუფდნენ ბარიკადის ერთ მხარეზე და მთავრობამ ვერ შესძლო ამ შეჯგუფების გაქლეტა. სინდიკატების დირექციამ გადასწყვიტა დაეწყო «წმენდა». ამანე სინდიკატებმა უპასუხეს, რომ თუ ეს მოხდა—ისინი დახვევენ საწევრო ბილეთებს. «წმენდა» აღარ შესდგა მაგრამ 1953 წ. იყო ძალების გამოსინჯავი. გაზეთებმა გამოაქვეყნეს დრაკონიული კანონები სამუშაო დღეების გაცდენის შესახებ. მუშები ულტიმატიურათ დაემუქრენ თუ ეს კანონი გატარდებოდა ისინი კოლექტიურათ დასტოვებდნენ სინდიკატებს. 1953 წ. 7 ივლისს, სწორეთ ერთი კვირის შემდეგ ამ კანონის გამოქვეყნებისა გამოცხადებულ იქნა რომ ეს კანონი გაუქმებულია. ამ დღიდან მთავრობა ერიდება მუშების საბრძოლველათ გამოწვევას. ახლა ოფიციალური პროპაგანდა მიზნათ ისახავს შეურყიონ მუშებს იდეა სოციალდემოკრატიული, რაც ახასიათებს მუშათა დღევანდელ შეგნებას.

მუშათა მოძრაობის ეს მაგალითი ამტკიცებს, რომ შეკავშირებული სოლიდარობით შესაძლებელია ბრძოლა კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ, თუმცა ასეთ ბრძოლას აქ აადვილებს დასავლეთ საზღვრებთან სიახლოვე.

ინგლისის მუშათა პარტიაში.

ევროპის ყველა სოციალისტურ პარტიაში ამ უამად უმთავრესი ადგილი უჭირავს ს. ე. დ. (ევროპის საერთო დაცვა) საკითხს. ტრავაისტების აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელიც ნებას აძლევს თავის წარმომადგენელ დეპუტატებს პარლამენტში მისცენ ხმა თავისუფლად. თავის შეხედულებებისამებრ. თვითონ აღმასრულებელი კომიტეტი მომხრეა ს. ე. დ. მისცეს ხმა და შეიარაღონ გერმანია, მაგრამ მთელი რიგი სინდიკატებისა ამახ ეწინააღმდეგება. ტრედ-უნიონების კონგრესზე, რომელიც შესდგა ამაწლის 6—8 სექტემბერს, რეზოლიუცია ს. ე. დ. და გერმანიის შეიარაღების შესახებ. მიღებულ იქნა—3.900.000 ხმით წინააღმდეგ—3.622.000 ხმისა. ამავე კონგრესმა მიიღო დადგენილება წარმოებათა ნაციონალიზაციის გაფართოების. განსაკუთრებით მშენებლობაში და ქიმიურ დარგებში. ამავე კონგრესმა უარყო რეზოლიუცია სამუშაო ქირის გადიდების, რომ ამით არ დაერღვიათ ხელფასის და სურსათ-სანოვანის შორის დამყარებული ეკონომიური წონასწორობა და შექმნილი სტაბილური მდგომარეობა. კონგრესმა არც კი დასვა კენჭის საყრელათ ცეცხლის მქრობელ რაზმის დელეგატების შემოტანილი რეზოლიუცია კენიაში და მალეზიაში ბრძოლის შეწყვეტის შესახებ. ამ წინადადების შესახებ ტრედუნიონების ცნობილმა მეთაურმა დიკინმა ამ რეზოლიუციის ავტორებს უწოდა «საბჭოების პროპაგანდისტები» და წამოიძახა: თქვენ ხომ არ ითხოვთ დავტოვოთ მიღწეა და კენია, რომ იქ კომუნისტებმა დაამყაროს კომუნისმი და მოუწოდა კონგრესს—ნურას დროს ნუ დაივიწყებენ თუ როგორ დაიპყრეს რუსებმა—ლატვია, ესტონია და ლიტვა.

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში.

საფრანგეთის სოც. პარტიაში საკითხი ს. ე. დ. შესახებ მეტად მტკივნეულად სდგას. ანიერის კონგრესზე, ივლისში, პარტია ამ საკითხზე გაიყო ორათ: უმრავლესობა და უმცირესობა. სასარგებლოთ ხმა მისცა 1.059 მანდ. წინააღმდეგ—972. კონგრესმა დაუდგინა დეპუტატებს მისცენ ხმა სასარგებლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ წინააღმდეგ იქნებოდა მიღებული რეპრესიული ზომები. მიუხედავად ამისა 53 დეპუტატმა პალატაში მაინც მისცა ხმა წინააღმდეგ, რისთვისაც პარტიის უმაღლესმა ორგანომ, დირექტორიამ, სამი მეთაური: მოკი, მაიერი და ლეჟანრი უკვე გარიცხა პარტიიდან.

გერმანიის ხელ.-დემ. პარტია.

გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტია თავიდან წინააღმდეგი იყო ს. ე. დ.; ივლისში მომხდარ კონგრესზე მიღებულ იქნა 300 ხმით წინააღმდეგ 20 რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს გერმანიის გაერთიანებას და ურჩევს გერმანიის მთავრობას მიიღოს ამ მხრით ყოველივე ზომა. რაც შეეხება ევროპის გაერთიანებას ეს უნდა მოხდეს ადგილობრივი სახელმწიფოების მიერ ონიუს წესდების ნიადაგზე. ისინი მოითხოვენ საბჭოებთან მოლაპარაკების გაგრძელებას. და თუ მოლაპარაკება უშედეგოთ დათავდება, მაშინ ისინი თანახმა იქნებიან მიიღონ მონაწილეობა ზავის და მშვიდობის საერთო დაცვაში სამხედრო საშვალეებითაც კი.

ფინლიანდიის სოციალისტური პარტია.

უკანასკნელ არჩევნებში ფინლიანდიის სოციალ. პარტიაში მიიღო 35.000 ხმა. ის არის ახლა ყველაზე უფრო ძლიერი პარტია პარლამენტში.

არგენტინის ხელ.-დემ. პარტია.

არგენტინის სოც.-დემოკრატიული პარტია მეორეჯერ აკრძალა მთავრობამ. შარშან მთავრობის ბრძანებით დასწვეს მისი ბიბლიოთეკა რომელშიდაც იყო ასი ათასი წიგნი.

იაპონიის სოციალისტური პარტია.

იაპონიაში არის ორი სოციალისტური პარტია—მემარცხენე და მემარჯვენე. მემარჯვენეთა კონგრესზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია რომ კომუნისტების წინააღმდეგ ძალით ბრძოლის პოლიტიკა უნდა იქნეს უარყოფილი. ჩვენი პოლიტიკა უნდა იყოს—არც რუსებთან, არც ამერიკელებთან. დაადგინა აგრეთვე არ მიიღოს მონაწილეობა კომუნისტებთან ერთად «სახალხო ფრონტში». ამავე დროს მოითხოვს ორგანიულათ გაერთიანებას მემარცხენე სოციალისტებთან.

მემარცხენე სოციალისტებმა თავის კონგრესზე მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ჩინეთის მიმართ ნეიტრალიტეტის დაცვას, იაპონიის განთავისუფლებას ამერიკის გავლენისაგან, რომ შესაძლებელი იქნეს მესამე ძალის შექმნა, რომელიც შეასუსტებს საერთაშორისო გამწვავებულ მდგომარეობას *).

ი. ე.

*) ცნობები ამოღებულია «რევოლუციური სოციალისტი»-იდან და «ინტერ. სოც. კორესპონდენციიდან». ი. ე.

3. ჩუბინიძის მოგონება.

დაიბეჭდა და გამოვიდა ვ. ჩუბინიძის მოგონება (წიგნი მეორე, პარიზი, 1953 წელი).

მეტად მდიდარი და ამომწურავი მასალები და ფაქტები მოგროვილი ამ მოგონებაში თებერვლის დიდი რევოლუციის შემდეგ დაარსებული სახალხო გვარდიის მუშაობის გასაძლიერებლად. აქ მიიღებთ თქვენ ცნობებს გვარდიის პირველ და მეორე ყრილობის შესახებ, წაიკითხავთ სიტყვებს ამ ყრილობებზე წარმოთქმულთ ქართველი ხალხის მოძრაობის საუკეთესო და ცნობილ მეთაურთა მიერ. გადაშლილია მთელი სურათი სახალხო გვარდიის წარმოშობის, მოღვაწეობის და საქართველოსათვის მის მიერ გაწეულ უდიდესი სამსახურის დასადგენლად.

შემდეგ მოდის მტრის მიერ დაპყრობილ საქართველოში მალული მუშაობის ამბები: გვარდიელების არალეგალურად დარაზმვა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მათი ერთი მეორესთან დაკავშირება და შეთანხმებულად საქმიანობა. ავტორი მოგვითხრობს დამოუკიდებლობის კომიტეტის დაარსების და მუშაობის შესახებ. საინტერესოდ არის აწერილი სხვადასხვა პროკომუნისტური ევროპიელი დელეგაციების ჩამოსვლა საქართველოში და მათდამი არალეგალური ორგანიზაციების ღირსეული პასუხები.

კარად არის გაშუქებული 1924 წ. აჯანყებისთვის მზადება, აჯანყების დღეები, მისი დამარცხება. ამას მოყვება ჩეკის ტერორისტული და ამორალური მოქმედებათა დასურათება.

ამ კრებულში გამოქვეყნებულია სია იმ მრავალ რევოლუციონერთა, რომელნიც დახვრეტილ იქნენ ბოლშევიკების მიერ, გარდაიცვალენ ჩეკაში და ციხეებში, თუ დაიღუპნენ ციმბირში და რუსეთში გადასახლებულნი, ან დამარხული არიან საზღვარგარედ. კრებულშია მოთავსებული აგრეთვე მრავალი საინტერესო წერილები, მოწერილი ვ. ჩუბინიძისადმი რუსეთის შორეულ ადგილებში მყოფ ქართველ პოლიტიკურ გადასახლებულთა მიერ.

ვ. ჩუბინიძის მოგონების წიგნი შეიცავს 450 გვერდს და იქ თავმოყრილია ზოგი ისეთი დოკუმენტები და წერილები, რომელნიც ვაპნეულია სხვადასხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, გამოცემული საქართველოში, თუ საზღვარგარედ. მრავალ ისტორიკოსისათვის მათი მოძებნა ადვილი არ იქნება, ამ წიგნით კი მას დიდად გაუადვილდება მუშაობის და შრომის წარმატებით დამთავრება.

ამიტომ ავტორი მადლობის ღირსია ამ საბუთების მოძებნისთვის და თავის მოყრისთვის; გამოცემაც მას, ახლანდელ პირობებში, ძვირი დაუჯდება. ხოლო საჭიროა მანც აქვე აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ფაქტების და ცნობების გამოქვეყნებდან ავტორს თავი რომ შეეკავებია, მისი წიგნი უფრო მოიგებდა.

კ. ბ.

ძარტველოვა უცხოეთში.

კ. იმნაძის მეუღლის გარდაცვალება.

ინგლისის სოფელში გარდაიცვალა ჩვენი ამხანაგი კორტე იმნაძის მეუღლე. ეროვნებით პოლონელი, იშვიათი გულის ადამიანი, ქართველთა მოყვასი და გულწმინდოკივარი. მუდამ ოცნებობდა თავის ქმართან ერთად განთავისუფლებულ საქართველოს ხილვას. პროფესიით მასწავლებელი იგი ეწეოდა მძიმე შრომას ინგლისში გადახიზნული—პოლონეთში მოსკოვის გაბატონების შემდეგ.

საქართველოს ს.-დ. პ. საზ—ლი ბიურო, პარიზის ს.-დ. პ. კომიტეტი და «ჩე. დრ.» რედაქცია უცხადებს თანაგრძნობას ამხ. კ. იმნაძეს თავის ერთგულ მეგობრის და თანამგზავრის დაკარგვის გამო.

მისიელ ხუმბათაშვილი.

ამაწლის აგვისტოში მიუნხენში მოულოდნელათ გარდაიცვალა მის. ხუმბათაშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობის იგი იყო ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი (მარშალი).

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იგი მუშაობდა ჩვენი მთავრობის მიერ უცხოეთში გამოგზავნილ სხვადასხვა მისიებში. განათლებული კაცი (იგი მშვენივრად ლაპარაკობდა სხვადასხვა ენაზე) მას კიდევ დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო ჩვენი საქმისთვის.

მისიელ კედიას.

მძიმე ავთმოყოლობის შემდეგ ქენევაში გარდაიცვალა მისიელ კედიას. ომის გათავების შემდეგ იგი მუდმივად ცხოვრობდა ქენევაში.

აგვისტოს აჯანყება.

ამაწლის 12 სექტემბერს, აგვისტოს აჯანყების 30 წლის თავზე, საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს გამგეობის მიერ გადახდილ იქნა პანაშვიდი აჯანყებაში მსხვერპლად დაცემულ თავდადებულ მამულიშვილთა სულის მოსახსენებლად.

ნოე ჟორდანიას ძეგლი.

1954 წ. 17 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად პარიზში გამართულ საზოგადო კრებაზე არჩეულ იქმნა კომისია ემიგრაციაში არსებულ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციებისაგან, განსვენებულის ძეგლის ასაგებად.

კომისია აწყობს საერთო ხელის მოწერას საქირო ფონდის შესაგროვებლად, და მოუწოდებს მთელ ქართველობას მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში.

- თ. ანთაძე—სოც.-ფედ. პარტიისაგან
- შ. გალანდაძე—ეროვ.-დემ. პარტიისაგან
- კ. ხალია—თეთრი გიორგისაგან
- დ. ხელაძე—სოც.-დემ. პარტიისაგან
- ვ. ჩუბინიძე—სოც.-დემ. პარტიისაგან
- ვ. წულაძე—გაერთ. სოც.-დემ. პარტიისაგან.

კომისიის ხაზინადარი ვ. ჩუბინიძე სთხოვს დააჩქარონ შემოწირულების გამოგზავნა მის სახელზე შემდეგი მისამართით:
241 rue de la Croinivert. Paris (15)

«ჩვენი ღრუბა»-ს ფონდი.

ბიუროს კომისიის წევრებმა ქალბატონ არიანა ურატაძისამ და ქალბატონ მათიკო სტურუასამ გადმოგვეცეს შემომწირველთა მესამე სია: გერმანიიდან: ნიკო იმნაიშვილი 2.000 ფრანკი, კ. ინსარიძე 1.660 ფრ., XX 20 გერმანული მარკა, რაქდენ არსენიძე 10 გერ. მარკა, ესე მანჭავა 10 გერ. მარკა, დათიკო 5 გერ. მარკა.

პარიზიდან: ალ. დონდუა 2.000 ფრ., ხაბულიანი 2.000 ფრ., ბენო ელიგულაშვილი 1.000 ფრ., მამია ბერიშვილი 500 ფრ.

ამას გარდა მივიღეთ სპარსეთიდან: იოსებ გეგენავასაგან (გრ. მოდებაძის სახელზე) 1 გირ. სტერლინგი, ქ-ნ ქსენია სასანიასაგან 1 გირ. სტერლინგი და 5 დოლარი, ძველი მუშისაგან და ნინო ცალქალაძისაგან 5 დოლარი.

საფრანგეთში მყოფთაგან: ექ. ილხუბ ცინცაძისაგან ათი ათასი ფრანკი, ქ-ნ ქეთო ვაჩნაძისაგან 1.000 ფრ., ექ. ანტონ ქორქოლიანისაგან 1.000 ფრ., სიმონ ჩიკვილაძისაგან 500 ფრ., გრ. წერეთლისაგან 300 ფრ.

ლიონიდან: კოსტა გუნიასაგან 1.000 ფრ., შალვა ანთაძისაგან 1.000 ფრ., მელქისა ბ—საგან 100 ფრ.

ნიუორკიდან—პავლე კვარაცხელიასაგან 2 დოლარი.

რედაქცია მადლობას უცხადებს შემომწირველთ.

ფული და დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

P. Sardjveladze.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)